სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 17 აგვისტო 2005 №187 (2510) ფასი 50 თეთრი



იუვეს მეკარე სჭირდება

ვინ დაიცავს ტურინელთა კარს?

5



კეთილი კაცი საბჭოეთიდან

გარდაიცვალა ალექსანდრ გომელსკი

14

UNIVERSIADE 2005 İZMİR FISU

პირველი ჰიმნი

შალვა გადაბაძე უნივერსიადის ჩემპიონია

15

ხმა ხალხისა ყაზახურად:

ჩვენებმა თამაში არ იციან



ბახა შალამბერიძე

ალმათიდან

დღეს ყაზახეთი — საქართველოა, მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩი და ალმათელებიც შედარებით გამოცოცხლდნენ. რას ვგულისხმობ? გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდი, აქაურებმა, მგონი, ისიც არ იციან, რატომ ეთამაშება ყაზახეთი საქართველოსო. თუმცა ახლა ვითარება შეიცვალა — ხალხი სალაროებისკენ დაიძრა, ხოლო ერთი-ორმა, როცა ქუჩაში გამოველაპარაკე, ჯიბიდან ბილეთი ამოიღო, ხვალ სტადიონზე მეც მივდივარო. ეგ არის, ყველას წაგება აკერია პირზე — თამაშის სანახავად კი მივდივარ, მაგრამ ვიცი, უეჭველად წავაგებთო. მათი არგუმენტი საკმაოდ მარტივია — ჩვენებმა ფეხბურთის თამაში არ იციანო...



U-21 0:1

პატარა ყაზახებმა ქართველები დიდად აქეს

წინამძღვრიშვილმა მასპინძლებს ენაც მოტეხა და გულიც გაუტეხა

ევროპის 2006 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. II ჯგუფი

მოტეხილი ენა და გატეხილი გული

შოხის შოკი. შემომნატრებელიც გვეღირსა

ალმათი. 16 აგვისტო. 15 საათი. ცენტრალური. 3 500 (ტევადობა 20 000)

ყაზახეთი(U21) 0:1 საქართველო(U21)

0:1 წინამძღვრიშვილი (19)

იაკოვლევმა ვერ გაიტანა პენალტი (55, აცილა)

ყაზახეთი: გრიგორენკო, კურგულინი, ზუევი, გოროტნიკოვი (სობოლევი 62), კიროვი, ორაზალიევი (ნედაშკოვსკი 25), ტარასოვი, ალიევი (ბოროვსკი 46), იაკოვლევი, სკორიხი, არგიმბაიევი
სათადარიგო: დეხანოვი; მოლდაგალიევი, იურტაიევი, ევსტიგნეევი
მწვრთნელი: ანტონ შოხი

საქართველო: რევიშვილი, თომაშვილი (მჭედლიშვილი 74), ხიდეშელი, ღვინიანიძე, ელბაქიძე, ელიავა, გრიგალაშვილი, ღლენტი (ბეალავა 46), ფიფია, გოგუა, წინამძღვრიშვილი (ჩირიკაშვილი 86)
სათადარიგო: თევდორაძე, გგეძაბია, ბესარაშვილი, ლაფერაშვილი
მწვრთნელი: კობა ჟორჟიკაშვილი

გაფრთხილება: ნედაშკოვსკი (44), თომაშვილი (45), ელბაქიძე (45), ზუევი (49), ელბაქიძე (52), გოგუა (71), ელიავა (78), ბეალავა (84)

გაძევება: ელბაქიძე (52), კურგულინი (88)

მსაჯები: გ. მიხალევიჩი; ი. რადოიჩიჩი, ბ. პოოლოვიჩი; გ. იოვანოვიჩი (ყველა სერბეთი); **უეფას ინსპექტორი:** ნ. ლეონიკოვი (რუსეთი)

ძახა ფალამბერიძე
ალმათიდან

ეგ არის, მოვიგეთ! — თითქმის ერთხმად აღმოგვხვდა ქართული დელეგაციის წევრებს მსაჯის საფინალო სასტვენის გაგონებაზე. მოვიგეთ და თანაც ფიცხელ ბრძოლაში. რომ იტყვიან, ძვალთა ჭახა-ჭუხი და კბილების ღრჭიალი ისმოდაო, ზუსტად ეგრე იყო: საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ბოლომდე თავგამოდებით იბრძოლა და, შეიძლება ითქვას, დამსახურებულად აართვა სამი ქულა ყაზახ 21-წლამდელებს, ოღონდ...

ოღონდ დიდი შანსი იყო, ჩვენებურებს ოფლით მოპოვებული უპირატესობა წყალში ჩაეყარათ — ყველაფერი პირველი ტაიმის მიწურულს დაიწყო, როცა საქართველოს ნაკრების ორმა მცველმა უაზრო ყვითელი ბარათები აიკიდა — გულვერდ თომაშვილმა ბურთის გადაგდებისთვის, ხოლო გიორგი ელბაქიძემ მოედნის ცენტრში უხეში თამაშისთვის.

ფეხბურთს შეცდომების ჰატიება არ უყვარს და, აკი თითზეც გვაკბენინა მატჩის არბიტრმა: 52-ე წუთზე ელბაქიძემ მეორე ყვითელიც მიიღო, სამიოდ წუთში კი მათე ღვინიანიძე აიდარ არგიმბაიევთან ორთაბრძოლისას დაჯარიმდა და პენალტი! ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, ვლადიმირ იაკოვლევს თერმეტმეტრიანის ნიშნულიდან ცაში რომ არ გაეგზავნა ბურთი...

მოკლედ, კობა ჟორჟიკაშვილი და მისი გუნდი გადარჩნენ და მე-19 წუთზე რატი წინამძღვრიშვილის მიერ გატანილი გოლი მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს. გოლი კი მართლაც დიდებული სანახავი იყო — შოთა გრიგალაშვილმა მარჯვენა ფლანგზე გაინავარდა, მცველები სისწრაფეში დაჯაბნა და საჯარიმოში უმეთვალყურეოდ დარჩენილ წინამძღვრიშვილს ჩააწოდა, რატიმ კარგად დაინახა მეკარის მოძრაობა და თავურით აუღებელი დაარტყა — 0:1.

რატისვე, რომლის გვარსაც ყაზახი დიქტორები ძალიან სასაცილოდ და დიდი გაჭირვებით აცხადებდნენ, პირველ ტაიმში კიდევ ჰქონდა გოლის გატანის შანსი, როცა ზაალ ელიავას დარტყმული ბურთი მეკარემ ხელებში ვერ შეიმაგრა, თუმცა ქართველთა ცენტრფორვარდმა საგოლედ დამატება ვერ მოახერხა.

პირველ ნახევარში სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა, მოუსვენარი არგიმბაიევის ერთადერთ სახიფათოდ დარტყმულსღა თუ გავიხსენებთ და ეგ არის.

მერე კი დაიწყო, რაც დაიწყო... მსაჯმა გორან მიხალევიჩმა ჯიბეზე ხელი გაიკრა და ყვითელი ბარათები ბითუმად არიგა. ჩვენთვის საგანგაშო კი ამაში ისაა, რომ ხუთი „გაყვითლებული" ქართველიდან სამმა დროის გაყვანის გამო დაიმსახურა არბიტრის რისხვა და ეს ხდება მაშინ, როცა კაცნაკლული თამაშობ და მეტოქე ანგარიშის გათანაბრებას ცდილობს, ანუ, დიდი შანსია, ერთმა შეცდომამ გუნდი დაღუპოს.

ამ კონკრეტულ მატჩში კი ყველაფერი ქართველთა სასიკეთოდ დასრულდა. ჩვენებურებმა ბოლო წუთებში მწყობრად დაიწიეს უკან და მეტოქეს საკუთარ ნახევარზე პრესინგი „შესთავაზეს". ყაზახებიც ოდენ ერთ, თუმცა ძალიან სახიფათო მომენტს გამორჩნენ — ნუკრი რევიშვილმა ვადიმ ბოროვსკის ორი მეტრიდან დარტყმული თავური აუღო...

დანია	8	7	1	0	24:7	22
უკრაინა	9	5	1	3	14:7	16
საბერძნეთი	9	4	2	3	12:6	14
თურქეთი	9	4	2	3	11:6	14
საქართველო	8	3	2	3	7:14	11
ალბანეთი	9	1	2	6	5:20	5
ყაზახეთი	8	1	0	7	4:17	3

ჟინი არც ყაზახებს აკლდათ და არც ბეკა ქლენტსა (მარჯვნივ) და მის თანაგუნდელებს

პრესკონფერენცია

კობა ჟორჟიკაშვილი: რა თქმა უნდა, მიხარია, რომ მოვიგეთ, თუმცა ხარვეზები ჯერაც გვაქვს და ამის აღმოსაფხვრელად მუშაობა მოგვიწევს. ყაზახეთის ნაკრები კი ძალიან მომეწონა და წარმატებებს ვუსურვებ.

ანტონ შოხი: უნდა წაგვეგო და წავაგეთ კიდეც. დღეს ჩემი გუნდი არაა მზად იმისთვის, რომ საქართველოს მოუგოს. არა მგონია, პენალტის გაფუჭებას გუნდი მოეშალოს, მთავარი პენალტის გატანა კი არა, მეტოქის კაცნაკლულობის გამოყენება იყო, მაგრამ ვერაფერი შეეძლით. პენალტს კი ალბათ ისღა შეეძლო, რომ ქულას ავიღებდით. ხომ ნახეთ, ქართველები როგორ არიან ბურთთან. ჩემმა ფეხბურთელებმა კი ჯერ პასის მიცემაც არ იციან. ეს რეალობაა.

კობა ჟორჟიკაშვილისა და მისი გუნდის ყაზახური დებიუტი წარმატებული გამოდგა

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. მეორე ჯგუფი

ალმათი. 17 აგვისტო. 16.00 საათი. ცენტრალური

ყაზახეთი — საქართველო

ძახა შალამბერიძე
ალმათიდან

ყაზახური სტრატეგია: ქართველებს თავზე უნდა დავაჯდეთ

გულშემატკივრებისგან განსხვავებით, ოპტიმისტურად ლაპარაკობენ ყაზახეთის ნაკრების ფეხბურთელები. აი, რას ამბობს ნაკრების დებიუტანტი ნიკიტა ხოხლოვი: „საქართველოს ნაკრების ნახევარდაცვას ძალიან ნელა გადააქვს ბურთი მეტოქის ნახევარზე. ქართველებს ბურთის ხანგრძლივი გათამაშება უყვართ და თუ მათ მკაცრ პრესინგს ვეთამაშებით, უეჭველად შევბოჭავთ. მათ თავის მაღლა აწევა არ უნდა ვაცალოთ. ყაზახეთის ნაკრებს მოგება სჭირდება და საამისოდ თავს დავდებთ“. ტომით ქართველი მეკარე დავით ლორია კი შედარებით თავშეკავებულია: „ევროპაში სუსტი მეტოქეები აღარ არსებობენ, თუმცა, ბუნებრივია, შანსი ჩვენც გვაქვს“.

მოკლედ, ასეთი ამბებია ჩვენი მეტოქის ბანაკში, ახლა კი გუშინდელი დღის მთავარ თემაზე ვთქვათ: შვეიცარიული „ციურიხის“ თავდამსხმელი ლადო ახალაია გაურკვეველი მიზეზების გამო ალმათიში ვერ ჩამოვიდა და ტრავმირებული მალხაზ ასათიანის გარდა საქართველოს ნაკრებმა კიდევ ერთი ფეხბურთელი მოისაკლისა. ახალაია წესით გუშინწინ, გვიან ღამით უნდა ჩამოსულიყო, ისევე, როგორც კახა კალაძე და დავით მუჯირი, რომლებიც უკვე გუნდთან ერთად არიან.

გუშინ კი ნაკრების თავკაცმა გაიოზ დარსაძემ და თავდამსხმელმა გიორგი დემეტრაძემ ყაზახეთის საფეხბურთო კავშირის ოფისში წინასამატჩო პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც ყაზახი ჟურნალისტებიც მრავლად დაესწრნენ...

გაიოზ დარსაძე: ჩვენ მომავალი ციკლისთვის მზადებას ვიწყებთ, თუმცა ისე არ გამიგოთ, თითქოს დარჩენილ მატჩებს ზერელედ მივუდგებით. საქმე ისაა, რომ საქართველოს ნაკრები ახლა ჩამოყალიბების სტადიაშია, გუნდში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია და ისინი ისე უნდა შევკრათ, რომ საბოლოო ჯამში ხარისხიანი პროდუქტი მივიღოთ.

— რატომ არ მიიწვიეთ ნაკრებში შოთა არველაძე?

— ამ ეტაპზე ასე ჩავთვალე საჭიროდ. ისე კი, მე არავის ვივიწყებ და შანსი ყველას მიეცემა.

— ვიტალი დარასელიაზე რას იტყვით?

— იგივეს.

— ყაზახეთთან მატჩზე რას ფიქრობთ?

— მოგებისთვის ყველაფერს გავიღებთ, დანარჩენი კი მოედანზე გამოჩნდება. სხვათა შორის, ალმათიში მითამაშია და მიხარია, რომ დღეს ისევ აქ ვარ.

გიორგი დემეტრაძეს კი ჟურნალისტებმა ჰკითხეს, რატომ არჩია დონეცკის „მეტალურგს“ ვლადიკავკაზის „ალანია“, რაზეც გიორგიმ უპასუხა, „ალანიამ“ კონტრაქტიც უკეთესი შემომთავაზა და თან რუსეთის ჩემპიონატიც უფრო მაღალი დონისაა, ვიდრე უკრაინისო.

აი, ეს არის, რაც პრესკონფერენციაზე საინტერესო ითქვა. მისი დასრულებისთანავე კი გაიოზ დარსაძე ჟურნალისტებს დაემშვიდობა და ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩის სანახავად სტადიონს მიაშურა...

საღამოს 7 საათზე კი საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ივარჯიშა. ცნობისთვის, გუშინ ალმათიში შედარებით გრილოდა, ტემპერატურა 28 გრადუსი იყო და ღრუბლებმა რამდენიმე წვეთიც გაიმეტეს, თუმცა აღარ უწვიმია. სინოპტიკოსები დღესაც გრილ ამინდს ელიან.



ბადრი კვირკელიძის ფოტოები



ბადრი კვირკელიძის ფოტო

გიორგი ჭელიძე (მარჯვნივ) მოსკოვის „ლოკომოტივის“ მთავარ გუნდში აიყვანეს

პაპარა ჭელოს დიდი შანსი

დღეს რუსები ლატვიელებს ეთამაშებიან და მოსკოვის „ლოკომოტივის“ რამდენიმე ფეხბურთელიც ეროვნულ გუნდშია გამოძახებული. ეგებ ამიტომაცაა, რომ რკინიგზელთა დუბლებში მოთამაშე ქართველი ფორვარდი გიორგი ჭელიძე „ლოკომოტივის“ მთავარ გუნდში გადაიყვანეს. მოსკოველთა თავკაცი ვლადიმირ ეშტრეკოვი „პაჭელოს“ თავისთან ავარჯიშებს და დღეს ჩინელებთან შანხაის ახალგაზრდულ ნაკრებთანაც ათამაშებს სპარინგ-მატჩში.

გიორგი „ლოკომოტივის“ დუბლშემადგენლობაში გოლებს შეეჩვია და მოსალოდნელიც იყო, რომ დააწინაურებდნენ. მასთან ერთად ეშტრეკოვმა დუბლებიდან კიდევ ორი ფეხბურთელი აიყვანა. თუმცა, ვიმეორებთ, დიდი შანსია, ნაკრებიდან მოთამაშეების დაბრუნების შემდეგ „პაჭელო“ ისევ მარქაფში გაუშვან.

ერთიცაა, რკინიგზელების დმიტრი სიჩოვი კარგა ხნით დაემტვრა, იტალიელი ახალწვეული ფრანჩესკო რუოპოლოც უნიათოდ ირჯება, მიხეილ აშვეთია „როსტოვში“ გაანათხოვრეს, ჯეიმს ობიორა „გრაცერში“ და... ეშტრეკოვს თავდასხმაში პრობლემები გაუჩნდა. ასე, რომ, არ არის გამორიცხული, ჭელიძე ძირითად გუნდს გაეჩვიოს...

ილია ნანოგაზგილი

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე შესარჩევი ჯგუფი

ჩვენი მეტოქეები

ოლსენი ინგლისელების ამხანაგი არ არის



ᲓᲐᲜᲘᲐ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲣᲠᲐᲓ თამაშობს დანიის ეროვნული გუნდიც. მისი მეტოქე ინგლისის ნაკრებია და კოპენჰაგენის „პარკენზე", იცოცხლეთ, თვალსასეირო თამაში იქნება.

დანიელთა თავკაც მორტენ ოლსენს პრობლემები მისძალებია. ინგლისელებთან ტრავმის გამო ვერ ითამაშებს მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მარჯვენა მცველი თომას ჰელვეგი, მას მისივე თანაკლუბელი კასპერ ბოგელუნდი შეცვლის.

„ევერტონის" მცველი პერ კროლდრუპი და „ოლბორგის" ნახევარმცველი რასმუს ვურცი ასევე ტრავმირებულნი არიან. ისინი ვესტბრომვიჩელმა თომას გაარდსომ და ვერდერელმა დანიელ იენსენმა შეცვალეს. ერთი სიტყვით, მორტენ ოლსენს ექსპერიმენტული შემადგენლობა შერჩა ხელთ.

დანია და ინგლისი ერთმანეთს ბოლოს 2003 წელს შეხვდნენ. მაშინ ვიკინგებმა ბრიტანელებს მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე" 3:2 მოუგეს.

მორტენ ოლსენი იგივეს გამეორებას ახლაც აპირებს: „ვიცი, რომ ინგლისის ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით ითამაშებს. მართალია, ჩემი გუნდი მათთან შედარებით ოდნავ შეფერთხილი ჩანს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მეტოქეს რაიმეს დავუთმობთ. მატჩი ამხანაგური კია, თუმც მე მხოლოდ მოგება დამაკმაყოფილებს".

ბოლოს კი დანიელთა სავარაუდო შემადგენლობა: *სორენსენი, ნილსენი, აგერი, პრისკე, ნ. იენსენი, პოულსენი, კ. იენსენი, გრავესენი, გრონკიაერი, ტომასონი, მარტინ იორგენსენი*

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲣᲜᲐᲙᲘᲫᲔ

ᲝᲚᲔᲒ ᲑᲚᲝᲮᲘᲜᲘ ᲨᲔᲕᲩᲔᲜᲙᲝᲡ ᲪᲮᲕᲘᲠ-ᲞᲘᲠᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ

ᲝᲠᲘ დღის წინ კიევში ვალერი ლობანოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული ოთხთა ტურნირი დაიწყო, სადაც მასპინძელ უკრაინელებთან ერთად სერბეთის, პოლონეთისა და ისრაელის ნაკრებები მონაწილეობენ.

პირველ ნახევარფინალში პოლონელებმა სერბებს დაძაბულ ბრძოლაში 3:2 მოუგეს და ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვეს. შემდეგ კი „დინამოს" სტადიონზე შეკრებილი ქომაგობა ებრაელებთან თავისი გუნდის წარმატებას ელოდა, მაგრამ... მათაც და ოლეგ ბლოხინმაც იმედგაცრუება იწვნიეს. აბრაამ გრანტის შეგირდებმა არაფერი დაუთმეს ფავორიტად შერაცხულ უკრაინელებს და საბოლოოდ პენალტებში 5:3 აჯობეს. მარცხით უკმაყოფილო უკრაინელმა ჟურნალისტებმაც ბლოხინს შეუტიეს პრესკონფერენციაზე, ანდრეი შევჩენკო და ანდრეი ვორონინი რომ გვყოლოდა, ამ თამაშს მოვიგებდითო.

„რა თქმა უნდა, სამწუხაროა, რომ ჩვენი დიდი მწვრთნელის სახელობის ტურნირს ვერ მოვიგებთ, მაგრამ თუ სიმართლე გაინტერესებთ, გული ძალიან არც დამწყვეტია. ჩემთვის მთავარი, საქართველოსთან ოფიციალური მატჩისთვის გუნდის სრულფასოვნად მომზადებაა, ამიტომაც ვთამაშობთ ხშირად ამხანაგურ მატჩებს, სადაც შედეგს ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. კი ბატონო, არ ვათამაშე შევჩენკო და, სიმართლე გითხრათ, მაფიქრებს კიდეც, აქვს კი აზრი სერბებთან მის ძირითადში დაყენებას? წინა ამხანაგურებმა სავალალო შედეგი მოგვიტანა, ანდრეის ხან ცხვირი გაუტეხეს, ხანაც კბილი ჩამოულეს მეტოქესთან ჯაჯგურში, ასე რომ, შევჩენკო სერბებთან ითამაშებს თუ არა, ამას მატჩის დაწყების წინ გადავწყვეტ" — ასეთი გახლდათ ბლოხინის პასუხი. უკრაინელები მესამე ადგილისთვის მატჩს დღეს გამართავენ ზემოხსენებულ სერბებთან. დღესვე გაიმართება ფინალიც, სადაც ერთმანეთს პოლონეთისა და ისრაელის ნაკრებები დაუპირისპირდებიან.

ოლეგ ბლოხინმა კი, აი, ვინ ათამაშა ისრაელის ნაკრებთან: *შოვკოვსკი, ნესმაჩნი, ვაშჩუკი, როტანი, სვიდერსკი (რადჩენკო 58), კალინიჩენკო (ო. გუსევი 54), ტიმოშჩუკი, ნაზარენკო (გუსინი 62), ეზერსკი, რებროვი (ბელიკი 55), ვენგლინსკი (კოსირინი 75)*

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲣᲜᲐᲙᲘᲫᲔ



ნიკოს ლიბეროპულოსი ოტო რეჰაგელმა ნაკრებში დააბრუნა

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲐ

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘ

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ჩემპიონი საბერძნეთის ნაკრები დღეს ბრიუსელის „მეფე ბოდუენზე" ბელგიის ეროვნულ გუნდს ამხანაგურად დაუპირისპირდება. ამ მატჩისადმი ჩვენი ინტერესიც ბუნებრივია, საბერძნეთი ხომ საქართველოს ნაკრების მეტოქეა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის მეორე შესარჩევ ჯგუფში. თან დღევანდელი შეხვედრა ბერძენთა გერმანელ მწვრთნელ ოტო რეჰაგელისთვის ერთგვარად საიუბილეოცაა — „მეფე ოტო" დღეს 50-ედ დამოძღვრავს ელადელთა გუნდს. წინა 49 მატჩიდან საბერძნეთის ნაკრებმა 25-ში გაიმარჯვა, 13-ჯერ ფრედ ითამაშა და მხოლოდ 11-ჯერ დამარცხდა. ცხადია, იმ ოცდახუთშია ის ისტორიული გამარჯვებაც, შარშან ზაფხულს ბერძნებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში პორტუგალიელები რომ დაამარცხეს ანგელოს ხარისტიასის გოლით — 1:0.

დღევანდელ მატჩს რაც შეეხება, აღსანიშნი ისაა, რომ მცველი ტაკის ფისასი, „ბოლტონის" ნახევარმცველი სტელიოს იანაკოპულოსი და „აიაქსის" ფორვარდი ანგელოს ხარისტიასი გუნდს პირდაპირ ბრიუსელში შეუერთდნენ, ხოლო „ანდერლეხტის" თავდამსხმელი გეორგიოს სამარასი რეჰაგელმა 21-წლამდელებს წაჰგვარა.

— ამ ოთხი წლის მანძილზე, რაც საბერძნეთის ნაკრების სათავეში ვარ, სიხარულიც მქონია და იმედგაცრუებაც. ცხადია, პორტუგალიაში მოპოვებულ ევროჩემპიონობას ვერაფერი შეედრება. კმაყოფილი ვარ თუ არა? ეს ჩემი სათქმელი არაა, ბერძნებმა უნდა გადაწყვიტონ. მე ჩემს საქმეს ვაკეთებ და მადლობა ბიჭებს, რომ გვერდში მიდგანან" — უთხრა რეჰაგელმა ბერძნულ მედიას ბრიუსელში გამგზავრების წინ.

დიდი ხნის შესვენების შემდეგ ნაკრებში დაბრუნებულმა ნიკოს ლიბეროპულოსმა კი თქვა: „ბედნიერი ვარ, ეროვნული გუნდის მისურას ისევ რომ მოვირგებ. ამისთვის, რა თქმა უნდა, მადლობა ჰერ ოტოს. ახლა მე უნდა ვიყოჩაღო, რათა რეჰაგელს ჩემზე გაცემული ავანსები გავუმართლო".

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲣᲜᲐᲙᲘᲫᲔ

ᲝᲣᲕᲔᲡ ᲛᲔᲙᲐᲠᲔ ᲡᲭᲝᲠᲓᲔᲑᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠ შევცვალოთ შეუცვლელი? ამ კითხვას დღეს ალბათ თავის თავს „იუვენტუსის“ გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი დაუსვამს. მოგეხსენებათ, ჯანლუიჯი ბუფონი ბერლუსკონის თასზე „მილანთან“ მატჩში დაშავდა და სავარაუდოდ ორი თვე ვერ ითამაშებს, ხოლო „ბებერი ქალბატონი“ მეკარის პრობლემის გამო სეზონის ცუდად დაწყებას, ცხადია, არ ინებებს.

„იუვენტუსს“ ჰყავს ანტონიო კიმენტი, რომელიც დიდი ხანია, შანსს ელის, მაგრამ ეს ჩვენი კითხვის პასუხი არ არის. კიმენტი მაღალი კლასის მეკარეა და სათადარიგოდ მასზე უკეთეს კანდიდატს კაცი ვერ ინატრებს, მაგრამ... შეძლებს ვეტერანი კიმენტი ასეთ ვითარებაში მთელი დატვირთვით სათანადო დონეზე თამაშს, თან მაშინ, როცა ძირითად შემადგენლობაში ადგილს არ ელოდა? ალბათ, ვერა.

ტურინელთა ქომაგებს კარგად ახსოვთ გასული სეზონი, როდესაც დავიდ ტრეზეგემ ოპერაცია გაიკეთა და სამი თვე არ უთამაშია. მაშინ კლუბმა მდგომარეობიდან გამოსვლა მოახერხა და ახალი ფორვარდი არ დაუმატებია. იქნებ ახლაც არ ღირდეს მეკარის ყიდვა? მოახერხებს „იუვენტუსი“ ამ შემთხვევაშიც გამოძრომას ისე, რომ შევსება არ მიიღოს? რა თქმა უნდა, ვერა.

ამიტომაც „ბიანკონერი“ ახალ მეკარეს დაუწყებს ძებნას. ეს შეიძლება კრისტიან აბიატი იყოს. იგი „მილანმა“ „ჯენოაში“ გაანათხოვრა, მაგრამ გენუელები სერია C1-ში დაქვეითეს... თუმცა საკითხავია, ისურვებს თუ არა „როსონერი“ მთავარი კონკურენტის დახმარებას.

ეგებ „დელე ალპიზე“ ჯანლუკა პალიუკა ვიხილოთ. გამოცდილი ვეტერანი შესანიშნავი კანდიდატურაა დროებითი შემცვლელისთვის და ისედაც საიმედო ზურგია. თანაც მისი „ბოლონია“ ახლა სერია B-შია და პალიუკა უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაზე უარს ალბათ არ იტყვის.

მესამე ვარიანტი მატეო სერენია. იგი „ლაციოში“ პერუცის შემცვლელად მოიაზრება, რასაც „იუვენტუსის“ რიგებში დროებით ძირითადში თამაში და ბუფონის სათადარიგოობა ნამდვილად სჯობია.

ასე რომ, ტურინელებს ახლა მხოლოდ მეკარეზე მიუწევთ ფიქრი, ხოლო ანტონიო კასანო ალბათ მეორე პლანზე გადავა, ყოველ შემთხვევაში, სანამ „იუვე“ ახალ გოლკიპერს არ იპოვის.

ჯანლუიჯი ბუფონი დაახლოებით ორი თვე ვეღარ ითამაშებს

ᲚᲣᲙᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

ჰიდეტოში ნაკატა „ბოლტონის“ ნახევარმცველი გახდა

ᲜᲐᲙᲐᲢᲐ ᲠᲘᲑᲝᲙᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ

ᲰᲘᲓᲔᲢᲝᲨᲘ ნაკატა ამ სეზონს „ბოლტონის“ რიგებში გაატარებს. დაახლოებით ერთკვირიანი მოლაპარაკების შემდეგ ინგლისური კლუბი „ფიორენტინას“ შეუთანხმდა და იაპონელი ერთი წლით ინაითხოვრა, ბოლომდე გამოსყიდვის პერსპექტივით.

„მოხარული ვარ, რომ შეთანხმება შევძელით. ჰიდეტოშიმ უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და ახლა პირადი კონტრაქტის დეტალებს მოვაგვარებთ. იგი ჩვენს გუნდს ნამდვილად გააძლიერებს ნაკატა პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი იქნება“ — თქვა „ბოლტონის“ თავკაცმა სემ ალარდაისმ.

28 წლის ნახევარმცველს იაპონიის ნაკრების მაისურა რნ-ჯერ მოურგია და ქვეყნის ყველა დროის საუკეთესო მოთამაშედ ითვლება. დახვეწილი ტექნიკის პატრონმა ბოლო 6 წელი სერია A-ში გაატარა, მაგრამ „რიბოკის“ ბინადრებს სჯერათ, რომ მას პრემიერლიგაში ადაპტაცია არ გაუჭირდება.

სემ ალარდაისი: „იმედი გვაქვს, რომ იგი ინგლისურ ფეხბურთის მალე აუღებს ალღოს. ნაკატა ძალიან გამოცდილია, ნამდვილი პროფესიონალია“.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲫᲐᲒᲐᲫᲔ

ᲚᲘᲝᲜᲘ ᲟᲣᲜᲘᲜᲘᲝᲡ ᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲡ

ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ „ლიონი“ თავის ერთ-ერთ ლიდერთან ჟუნინიოსთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აპირებს. შეიძლება, შეთანხმება კვირის ბოლომდეც გაფორმდეს. ბრაზილიელი ბოლო 5 წელია, გუნდის წამყვანი მოთამაშეა და „გერლანდზე“ დარჩენა თავადაც სურს.

„ფაქტობრივად ყველაფერი შეთანხმებულია. ჩვენ ჟუნინიოსთან ახალ სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებთ“ — აღნიშნა კლუბის მმართველმა ჟან-მიშელ ოლამ.

გუნდის თავკაცმა ჟერარ ულიემ კი მიკაელ ესიენის ტრანსფერზე ისაუბრა. მოგეხსენებათ, განელი ახლა ლონდონშია და კონტრაქტის ბოლო დეტალებს ითანხმებს, ოის მერეც „ლიონი“ მის სანაცვლოდ დაახლოებით 26 მილიონ გირვანქას მიიღებს.

„მიკაელი ისეთივე დონის მოთამაშეა, როგორც სტივენ ჯერარდი, ფრენკ ლამპარდი ან მიხაელ ბალაკი. ზოგი ამბობს, რომ იგი ამდენად არ ფასობს და „ჩელსი“ მასში ძალიან ბევრს იხდის, მაგრამ მე სხვაგვარად ვფიქრობ. ძალიან არ მინდოდა, რომ ესიენი წასულიყო და ყველაფერიც ვიღონე, მაგრამ...“ — თქვა ულიემ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲫᲐᲒᲐᲫᲔ

ჟუნინიო პერნამბუკანო

ᲨᲔᲕᲐᲛ ᲥᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲨᲘᲜᲐ

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ „მილანის“ ლიდერმა ანდრეა შევჩენკომ ცოტა მოულოდნელი განცხადება გააკეთა, ამ სეზონში ალბათ არც ისე ბევრ გოლს გავიტანო. როგორც იცით, „შევა“ სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია, მაგრამ „სან სიროზე“ ალბერტო ჯილარდინოსა და კრისტიან ვიერის გამოჩენა ალბათ გარკვეულ გავლენას მოახდენს მის შედეგიანობაზე.

„არა მგონია, ბევრი გოლი გავიტანო. სამაგიეროდ, ჩემი თამაში მეტ სიამოვნებას მომანიჭებს. ახლა უფრო უკან დაწეული ფორვარდი ვიქნები, მაგრამ ეს მახარებს კიდეც. ჩემს გოლებზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ გუნდმა მოიგოს, შეწყვეტილება კი არც ვიერისთან გამიჭირდება და არც ჯილარდინოსთან. ორივე მათგანი გამოკვეთილი ფორვარდია, მე კი უფრო უკან შემიძლია თამაში“ — განაცხადა შევჩენკომ. უკრაინელმა ისიც დაამატა, „ლივერპულთან“ მარცხი დავიწყებულია და ახლა მხოლოდ მომავალზე ვფიქრობთო.

ამასობაში „როსონერიში“ ზაფხულის დასაწყისში გადასულ დიმიტრიოს ელეფტეროპულოსს სავარაუდოდ კლუბის გამოცვლა მოუწევს. ამის მიზეზი ჟელკო კალაჩია, რომელიც „მილანმა“ სულ ცოტა ხნის წინ დაიმატა და ახლა დიდას შემცვლელად სწორედ იგი მოიაზრება. ბერძენი მეკარის მსურველებად კი ჯერჯერობით „სიენა“ და „კალიარი“ სახელდებიან.

ანდრეა შევჩენკო ბევრი გოლის გატანას არ ელის

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲙᲐᲫᲐᲒᲐᲫᲔ

ᲛᲘᲚᲐᲜᲘ ᲑᲘᲠᲛᲘᲜᲒᲰᲐᲛᲨᲘ ᲒᲐᲠᲑᲘᲡ



ᲠᲐᲤᲐᲔᲚ ბენიტესისგან მოძულებული მილან ბაროში „ლივერპულიდან“ წასვლას ლამობს. ბირმინგემის „ასტონ ვილა“ მერსისაიდულ კლუბს 6 მილიონ გირვანქას სთავაზობს. მაგრამ ენფილდელები ვაჭრობას აპირებს, რადგან ბაროშის მსურველი რამდენიმე კლუბი დაგროვდა.

ორიოდ კვირის წინ ჩეხის შეძენა გელზენკირხენის „შალკეს“ უნდოდა, მაგრამ რუდი ასაუერმა იძვირა. ახლა „ლიონი“ და მოსკოვის ცსკა-ც გამოტყვრნენ. ბაროშზე დიდი მოთხოვნილებაა და „ლივერპულიც“ სარფიანად ცდილობს მის გაყიდვას.

ჩეხი მეგოლე თანახმაა, „ასტონ ვილაში“ გადავიდეს: „ჩემი აზრით, ეს არ იქნება ნაბიჯი უკან, რადგან „ასტონ ვილა“ კარგი გუნდია. ჩვენ ჯამაგირზე უკვე შევთანხმდით, ახლა კი სიტყვა „ლივერპულზეა“, რომელიც მიყვარს, პატივს ვცემ, მაგრამ აქედან თუ წავალ, უკეთესი იქნება. რაც არ უნდა ვიშრომო, ძირითად შემადგენლობაში მაინც ვერ მოვხვდები“.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ბალაკი ინგლისელებს შეუთანხმდა

მალკოლმ გლეიზერის „მანჩესტერ იუნაიტედი“ მზადაა, მიქაელ ბალაკში 15 მილიონი ევრო გადიხადოს. „ბილდის“ ცნობით, ინგლისელები „ბაიერნის“ სატრანსფერო წინადადებით ორიოდე დღეში მიმართავენ. 28 წლის ბალაკს ბავარიულ გრანდთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულს უმთავრდება და იქაურებთან ხელშეკრულების განახლებასაც არ ჩქარობს. „ბაიერნის“ წარმომადგენელთა ყოველი მცდელობა „ალიანს არენას“ ვარსკლავთან კონტრაქტი გაახანგრძლივონ, ჯერჯერობით უშედეგოა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ინგლისურ და გერმანულ მედიაში ბალაკის „მანჩესტერთან“ საიდუმლო შეთანხმების შესახებ ალაპარაკდნენ — ამ ფაქტის თანახმად, ფეხბურთელი „ოლდ ტრაფორდზე“ მომავალ სეზონში გადავა და წლიურად 5,5 მილიონ ევროს მიიღებს, თუმც სერ ალექს ფერგიუსონი, „იუნაიტედის“ სახელგანთქმული დამრიგებელი, სხვა აზრისაა. მწვრთნელს გუნდის უფროსობისთვის გამოცდილი ნახევარმცველის ყიდვა 31 აგვისტომდე უთხოვია — ამ შემთხვევაში „წითლები“ გერმანელის საჩემპიონთალიგო განაცხადში ჩაწერას მოასწრებენ.

ლადო ხომერიკი



რუსეთი მსპანეთს ჩაბარდა

21 აგვისტოს რუსეთის ჩემპიონატის მეოცე ტურის მატჩს მოსკოვის ცსკა-სა და სანკტპეტერბურგის „ზენიტს“ შორის ესპანელი არბიტრი ლუის მედინა კანტალეხო იმსაჯებს. რუსთა ლიგაში უცხოელი არბიტრების მოწვევის იდეა ამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირის გენერალურ მდივანს, ვლადიმერ როდიონოვს ეკუთვნის.

„კარგი იქნება, თუ მნიშვნელოვანი თამაშების ბედს საზღვარგარეთიდან მოწვეული არბიტრები მსაჯებს მივანდობთ“ — თქვა რამდენიმე ხნის წინ პატივცემულმა თავკაცმა და 22 მაისს „ცსკა-სპარტაკის“ ჯახი (3:1) გერმანელ ფლორიან მაიერს ჩააბარა. საერთაშორისო მატჩებში გამოცდილი ალემანის მსაჯობა რუსებს ისე მოეწონათ, რომ ახლა სამხრეთელ მედინას მოუხმეს, ვინც ესპანურ პრიმერადივიზიონში თავისი მიუკერძოებლობით არის ცნობილი.

ლადო ხომერიკი

რონის ოცდათხუთმეტი უნდა


რონალდო რობინიოს მოუთმენლად ელის

ხორვატი — ბრაზილიის ამხანაგური თამაშის ერთ-ერთი სახალისო სანახაობა, რა თქმა უნდა, რობინიო — რონალდოს დუეტის ბურთაობა იქნება. მადრიდს „რეალის“ მეგოლე კიჭამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ „სანტიაგო ბერნაბეუს“ გალაქტიკოსები რობინიოს ესპანეთში ჩასვლას მოუთმენლად მოელიან. „რობინიოს მადრიდში ყველა ხალისით შეეგებება. მას „რეალში“ ბრწყინვლე კარირა მოელის. ჯერჯერობით მარტო ბრაზილიის ნაკრების მატჩზე ვფიქრობთ, თუმცა როცა ეს ყველაფერი დასრულდება და რობი „რეალს“ ჩააკითხავს, იქაური მოთამაშეებიც და ინჩასებიც დარწმუნდებიან, რომ მათი მოლოდინი უშეეგო არ ყოფილა“ — უთხრა რონალდომ „მარკას“ კორესპონენტს.

გარდა რობინიოს ამბებისა, რონის მედიასთან მასლაათში არც თავისი გეგმების გამხელა დავიწყებია: „ორი წელიწადია, რაც მადრიდის „რეალი“ ვერაფერს იგებს. ეს „ტრადიცია“ არ მომწონს, ამიტომაც თანაგუნდელებთან ერთად 2005-06-ის პრიმერადივიზიონში ყველა ჯილდოს მოგებას ვეცდები. ჩემი მიზანია, მეტოქეებს 35 გოლის გავუტანო.

ლადო ხომერიკი

ფინეთმა ჰოჯსონი დაიგვა

ფინეთის როი ჰოჯსონი გაწვრთნის

ფინეთის ნაკრების მწვრთნელად როი ჰოჯსონი დანიშნეს. 58 წლის ინგლისელი გუნდს 2006 წლის ივნისში ოფიციალურად ჩაიბარებს, ამჟამად კი ნორვეგიულ „ვიკინგს“ თავკაცობს.

როი ჰოჯსონს ადრე შვეიცარიის ნაკრებშიც უმუშავია, რომელიც მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაიყვანა.

ფინელთა ყოფილი მწვრთნელი ანტი მუურინენი ერთი თვის წინ გაათავისუფლეს და მისი ადგილი დროებით ირკი ჰელისკოსკიმ დაიკავა. მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ფინელები მეოთხე ადგილზე არიან და გერმანიაში მოხვედრის შანსი აღარა აქვთ, რამაც მუურინენის მოხსნა განაპირობა.

ფინეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის: „როი ჰოჯსონი კარგი მწვრთნელია და დარწმუნებული ვარ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე“.

ვაჟა ხუციშვილი


კილის სტამბოლში ელიან

კილი და გალა

თურქული მედია ამტკიცებს, რომ აგვისტოს მიწურულს კილი გონსალესი „გალათასარაის“ ფეხბურთელი გახდება. ზოგი კი იმასაც ამბობს, არგენტინელი უკვე ამ კვირის ბოლოს „წითელ-ყვითელ“ მაისურას მოირგებსო. ორი წლის წინ „ვალენსიადან“ „ინტერში“ გადასულმა კილი გონსალესმა მილანურ კლუბში სათადარიგოთა სკამი ხეხა და ძირითად შემადგენლობაში ფეხი ვერ მოიკიდა. ლუიშ ფიგუსა და სანტიაგო სოლარის შეძენის შემდეგ „ნერო აძურიმ“ განაცხადა, აღარავის ვიყიდით, ამიერიდან მხოლოდ გავყიდითო. გასულ სეზონში არგენტინელმა „შავ-ლურჯი“ მაისურით მხოლოდ თოთხმეტი მატჩი ითამაშა.

„გალათასარაი“ კილი გონსალესს იმიტომ მიადგა. რომ რობერ პირესის გადაბირება ვერ მოახერხა. ფრანგმა ნახევარმცველმა თქვა, „არსენალში“ კიდევ ერთი სეზონი დავრჩებიო.

ვაჟა ხუციშვილი

ტრევიზოს სტადიონი დაუნუნეს

სერია A-ში პირველად მოხვედრილი „ტრევიზო“ მომავალი სეზონისთვის აქტიურად ემზადება. უმაღლეს ლიგაში „ჯენოას“ ნაცვლად მოხვედრილმა კლუბმა უკვე დაიმატა რამდენიმე ფეხბურთელი და სექტემბრამდე კიდევ აპირებს გაძლიერებას.

პირველ რიგში „ტრევიზოს“ რიგებში ემანუელე და ანტონიო ფილიპინების გადასვლა უნდა გამოვარჩიოთ. 32 წლის ტყუპები „სტადიო ტენიზე“ არენდის წესით ითამაშებენ.

გარდა ამისა, კლუბმა პერსპექტიული ბრაზილიელი ნახევარმცველი ანდრე პინგა დაიმატა. „ტორინოს“ ყოფილი ფეხბურთელი „ტრევიზოში“ თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა. 28 წლის მცველს სტეფანო ლორენცის კონტრაქტი კი სერია A-ს დებიუტანტმა სანახევროდ გამოისყიდა „ატლანტასაგან“. უფრო ადრე ტრევიზოელები „ვერონას“ 24 წლის მცველით ანდრეა დოსენათიც გაძლიერდნენ.

„ტრევიზოს“ სერიოზული პრობლემაც აქვს. კერძოდ, საკუთარი სტადიონი. მოგეხსენებათ, გუნდი მოულოდნელად აღმოჩნდა სერია A-ში და სეზონის დაწყებამდე ვეღარ მოასწრებს ტრევადობის სულ მცირე 15 ათასამდე გაზრდასა და უსაფრთხოების ზომების გამკაცრების მიზნით ახალი დამცავი ბარიერების დამონტაჟებას. პრობლემაა მოედნის მდებარეობა და მასთან მისასვლელი გზაც. ერთი სიტყვით, უკვე თითქმის გადაწყვეტილია, რომ კლუბი ყველა საშინაო მატჩს სხვა მოედანზე ითამაშებს. სავარაუდოდ, ეს რომელიმე მახლობელ ქალაქში ტრიესტეში ან პადოვაში მოხდება.

ამასობაში გუნდმა ინგლისურ „პორტსმუთთან“ ამხანაგური მატჩის გამართვა მოასწრო და 2:0 იმარჯვა. გოლები გალომ და ბეგეტომ გაიტანეს.

გიორგი ძაძაბაძე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. ევროპა

რუსეთი ვიწროზე

ლატვია — რუსეთი

„ლატვისთვის რუსეთთან მატჩი განსაკუთრებულია. მოსკოვი და რიგა თითოეულ გოლში პოლიტიკურ ქვეტექსტს აქსოვენ“ — თქვა ლატვიელმა ჟურნალისტმა. პოლიტიკა და ფეხბურთი დღეს რიგაში „სკონტოს“ სტადიონზე გადაიკვეთება. ლატვიელებს მოგება სწყურიათ, რათა ჯგუფში მეორე ადგილისთვის ბრძოლა გააგრძელონ და პლეი-ოფში თამაშის უფლება მოიპოვონ.

არანაკლებ სჭირდებათ სამი ქულა რუსებს, რომლებსაც მასპინძელთა თქმით, სხვებთან შედარებით ვიწრო სტადიონზე ბურთის გაგორება გაუჭირდებათ. მოედნის სივიწროვე მასპინძელთა ერთ-ერთი კოზირია, ამას გადაჭედილი ტრიბუნებსაც თუ დავუმატებთ, გამოვა, რომ რუსთა ნაკრებს მძიმე მატჩი ელის.

სასტუმრო „მარიტიმეში“ დაბინავებული სტუმართა მწვრთნელს ოთახში კონდიციონერი ვერ უპოვია. მერე ვიღაცას უთქვამს, კარის თავზეა, მაღლა ახედეო. სიმინდა კონდიციონერის გარდა ხუთი ფეხბურთელი „დაკარგა“. სმერტინი დისკვალიფიცირებულია, ფირკოვიჩ-ბესილი ბერეზუცკი, რომან პავლიუჩენკო და დმიტრი სიჩევი ტრავმირებულნი არიან. რუსთა თავკაცმა ლოკომოტიველ დინიარ ბილალეტდინოვს უხმო, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია და მისი სანაკრებო დებიუტი რიგაში შედგება.

ვაჟა ხუციშვილი

ამხანაგური მატჩები





მარკო ვან ბასტენის და იურგენ კლინსმანის გუნდებს ერთმანეთთან ძველი ანგარიშები აქვთ

ფრანჩესკო სიცხიანი

ირლანდია — იტალია

„დელ პიერო იმიტომ დავაბრუნე, რომ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად უკეთეს ფორმაშია“ — თქვა მარჩელო ლიპიმ „იუვენტუსის“ ფეხბურთელზე, რომელსაც „სკუადრა აძურაში“ თითქმის ერთი წელია, არ უთამაშია და დღეს დუბლინურ მატჩში ძირითად შემადგენლობაში იქნება.

ფრანჩესკო ტოტის წაყვანასაც აპირებდნენ ირლანდიაში, მაგრამ „რომას“ კაპიტანს სიცხემ აუწია და შინ დატოვეს. დაახლოებით ორი თვე ვერ ითამაშებს ჯანლუიჯი ბუფონი, რადგან „მილანთან“ შეხვედრაში მხარი იტკინა, მისი თანაგუნდელ მაურო კამორანეზის კი მუხლის ტრავმა აქვს და ისიც ვერ დაეხმარება ნაკრებს.

„საწყენია რამდენიმე მთავარი ფეხბურთელის ტრავმიანობა. მაგრამ ჩვენ გვაქვს მათი შემცვლელები, რომლებსაც შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ მაღალი კლასის მოთამაშეები არიან და ნაკრებში ადგილს იმსახურებენ“ — განაცხადა ლიპიმ

რაც შეეხება ანტონიო კასანოს, იტალიელთა თავკაცმა აღნიშნა, აშკარად შზად არ არის და მომდევნო შეხვედრისთვის ალბათ გამოვიძახებო.

ირლანდიელებს „ტოტენჰემის“ ფორვარდი რობი კინი არ ყოლიებათ, მის ნაცვლად მწვრთნელმა „სანდერლენდის“ ყმაწვილ ფორვარდს, 21 წლის სტეფან ელიოტს უხმო.

ვაჟა ხუციშვილი



ალესანდრო დელ პიერომ ფორმა აღიდგინა

როტერდამში მოსალოდნელია აპრილი

ჰოლანდია — გერმანია

„გაზეთში წერია, რომ ამხანაგურია, მაგრამ რაც არ უნდა დაარქვა, ჰოლანდია-გერმანიის მატჩი ყოველთვის შმაგი გამოვა“ — თქვა „ჰამბურგის“ ჰოლანდიელმა ლეგიონერმა ხალიდ ბულარუზმა.

დღეს როტერდამში სტადიონის გარშემო ალკოჰოლის ყლურწვა აიკრძალება. აქაურებს კარგად ახსოვთ 1996 წლის აპრილი, როდესაც ჰოლანდიამ გერმანიასთან ამხანაგურად 0:1 წააგო, მერე კი ფანებმა ერომანეთის და პოლიციას არაამხანაგურად დასცხეს. მაშინ 54 მუშტისმქნელი დაიჭირეს, სამი — დაიჭრა. დღესაც დაახლოებით 2000 გერმანელს ელიან და როტერდამის პოლიცია არ მოიწყენს.

ზემოთ ხსენებულ მატჩში გოლი იურგენ კლინსმანმა გაიტანა და ამჯერად როგორც მწვრთნელი მარკო ვან ბასტენს ესტუმრება.

ჰოლანდიელთა თავკაცმა ბარსელონელი მარკ ვან ბომელი არ გამოიძახა, რაც ასე ახსნა: „ჩვენ გვაქვს საამისო მიზეზი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისთვის ნაკრების კარი დახურულია“.

მასპინძელთა შემადგენლობაში სამი ბუნდესლიგელია, მათ შორის ორი „ჰამბურგიდან“. მიუნხენის „ბაიერნის“ ფორვარდი როი მაკაი ძირითად შემადგენლობაში სავარაუდოდ ვერ მოხვდება მიუხედავად იმისა, რომ ორ მატჩში ხუთი გოლი მითვალა. მარკო ვან ბასტენი რუუდ ვან ნისტელროის ამჯობინებს, რომელსაც დირკ კუიტი და არიენ რობენი დაეხმარებიან.

ნახევარდაცვაში ფლანგებზე აიაქსელები — დე იონგი და მადურო ითამაშებენ, ხოლო ცენტრში „ჰამბურგის“ ლეგიონერი რაფაელ ვან დერ ვაარტი იქნება.

კიდევ ერთი ჰამბურგელი ხალიდ ბულარუზი დაცვის ცენტრში ჯონი ჰეიტინგას შეუწყვილდება. ფლანგებზე ფილიპ კოკუ და დებიუტანტი ტიმ დე კლერი ითამაშებენ.

ბუნდესნაკრების მწვრთნელმა იურგენ კლინსმანმა დაიჩივლა, ჩემი ფეხბურთელები სათანადოდ მზად ვერ არიან, რადგან კონფედერაციის თასის გათამაშებამ გადალალო.

გერმანელთა დაცვაში კვლავ გამოჩნდა კრისტიან ვიორნსი, რომელიც ფრიდრიხთან, მერტესაკერთან და შნაიდერთან ერთად უკანა ხაზს მიხედავს. საყრდენობას 31 წლის დიტმარ ჰამანი გასწევს, ფლანგებზე ფრინგსი და ერნსტი ითამაშებენ, ხოლო მიხაელ ბალაკი კლოზე-კურანის დუეტის მომარაგებას იკისრებს.

ვაჟა ხუციშვილი

ამხანაგური მატჩები

ფერნანდო მორიენტესი

ინგლისური ესპანეთი უტმეხი ფორლანის წინააღმდეგ

ესპანეთი — URუგვაი

ესპანეთ-URუგვაის ამხანაგური შერკინება ხიხონის „სპორტინგის“ სენტენარიოს ანუ ასი წლისთავს დაემთხვა და ამიტომაც დღეს ლუის არაგონესის ბიჭები სამხრეთამერიკელებს ხსენებული კლუბის არენაზე „ელ მოლინონზე“ დაუხვდებიან. ევროპელებს მასპინძლობა იკერ კასილიასის გარეშე მოუწევთ, რადგან „რეალის“ გოლკიპერმა ფერენც პუშკაშისადმი მიძღვნილ ამასწინანდელ მატჩში მარცხენა ფეხის ტრავმა მიიღო. იკერს „ბარსელონას“ ვიქტორ ვალდესი შეცვლის, ხოლო ძირითადი მეკარე კი ასევე ძველი ბარსელონელი, თუმც ამჟამად „ლივერპულის“ წევრი პეპე რეინა იქნება.

არაგონესის არმადას „ელ მოლინონზე“ ტრავმირებული ორბაისი და ალბელდა დააკლდებიან. დაცვის მარცხენა ფლანგზე სავარაუდოდ ჩელსელი ასიერ დელ ორნო იბურთავებს, მოედნის ცენტრს მხცოვანი ლუისი ხავის და ხავი ალონსოს ჩააბარეს, ნახევარდაცვის ფლანგებზე კი, მწვრთნელის ვარაუდით, ხოაკინმა და ვისენტემ უნდა იომონ (თუმც არაგონესი ლუის გარსიასაც ენდობა).

„რეალისა“ და ნაკრების კაპიტან რაულს ძირითადში აუცილებლად ვიხილავთ, ხოლო ნაკრებში ახლახან დაბრუნებული მორიენტესი ადგილისთვის მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდს ფერნანდო ტორესს შეეცილება.

„ფერნანდო მორიენტესი ესპანეთის ნაკრებისთვის უმნიშვნელოვანესი მობურთალია. იგი თავისი თამაშით და, რა თქმა უნდა, მეგოლეებით ნებისმიერი მეტოქე გუნდისთვის საშიშია“ — აღნიშნა ლუის არაგონესმა. პირინეელთა გამოცდილ დამრიგებელს ახლა „ინგლისური ნაკრები“ ჰყავს — განაცხადში „ლივერპულიდან“ რეინა, ხაბი ალონსო, ლუის გარსია და მორიენტესი, აგრეთვე „ჩელსიდან“ დელ ორნო ირიცხებიან. „პრემიერლიგაში თამაში ფეხბურთელებს ფიზიკურად უფრო აძლიერებს, რასაც, ბუნებრივია, ესპანეთის ეროვნული გუნდისთვის სარგებლობა მოაქვს“ — უთხრა მასპინძელთა თავკაცმა „მარკას“ კორესპოდენტს. სენიორ ლუისსა და მის შეგირდობას 7 სექტემბერს გერმანიის მუნდიალის შესარჩევ მატჩში სერბეთის სახიფათო ნაკრებთან შეხვედრა ელის, ამიტომაც არაგონესი URუგვაელებთან თამაშში მაქსიმალურად შეეცდება, ხარვეზები გამოასწოროს.

ესპანეთს სერბიამდე კიდევ ექნება ერთი ამხანაგური შეხვედრა, თუმც რადგან შედარებით სუსტ კანადასთან შეგირდების ავ-კარგის დანახვა ერთობ ძნელია, დამრიგებელი ძირითად ყურადღებას სწორედ დღევანდელ თამაშს მიაპყრობს.

„ჩემს ქვეყანაში ფეხბურთი ყველაფერს ნიშნავს, აქ კი, ესპანეთში, ხშირად გაიგონებთ უკმეხად ნათქვამ ფრაზას, ფეხბურთის არაფერი მესმისო. URუგვაიში არა აქვს მნიშვნელობა, კაცი მადრიდის „რეალში“ თამაშობს თუ ადგილობრივ მცირე გუნდში, ქუჩაში უკლებლივ ყველა მობურთალს აჩერებენ და ავტოგრაფებს სთხოვენ“ — ამბობს დიეგო ფორლანი, სტუმართა ნაკრების ყველაზე მრისხანე ძალა. URუგვაულ-ესპანურ ხასიათთა უბადლო მცოდნე „ვილიარეალის“ მოიერიშე „ელ მოლინონის“ ჯახში სამხრეთამერიკელების წაგებას არ ვარაუდობს — მისი თქმით, ხიხონის მატჩი ძლიერ დაძაბული იქნება და ეგებ მასპინძელთათვის საწყენადაც დამთავრდეს. ფორლანს URუგვაის გერმანულ მუნდიალზე მოხვედრა ჯერ განაღდებული არა აქვს, ამიტომაც როგორც მეტოქე არაგონესი, ისე სამხრეთელების მწვრთნელი ფოსატი კოლუმბიასთან შერკინებამდე შეგირდთა შესაძლებლობებს „სპორტინგის“ სტადიონზე გაზომავს. მომხვდური გუნდი მეკარე სებასტიან ვიერას და პაოლო მონტეროს მოისაკლისებს, თუმც ოკეანისგადმელთა საშიში ბირთვი — მორალესი, სოსა, პაბლო გარსია, ზალაიეტა და რეკობა — საღ-სალამათია. ასე რომ, „ელ მოლინონს“ უინტერესო ჯახი ნაღდად არ მოელის.

ლადო ხომერიკი

ხორვატებმა რონალდინიო მოიკითხეს

ხორვატია — ბრაზილია

ხორვატიის ნაკრები ბრაზილიას სპლიტში ამხანაგურად უმასპინძლებს. სტუმრები რონალდინიოს გარეშე ეწვივნენ ხორვატებს, რამაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის წყრომა გამოიწვია, ქომაგებს მისი ნახვა უნდოდათო.

4 სექტემბერს ბრაზილია მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ჩილეს უნდა დაუხვდეს. რონალდინიო დისკვალიფიცირებულია და ჩილესთან ვერ ითამაშებს, ამიტომ კარლოს ალბერტო პარეირამ გადაწყვიტა, რომ სპლიტში გუნდი საჩილეოდ, ანუ რონალდინიოს გარეშე მოამზადოს.

ხორვატი ქომაგები მაინც არ მოიწყენენ, რადგან რობინიოს და ადრიანოს ნახავენ. რონალდო, კაფუ და რობერტო კარლოსი, რომლებმაც კონფედერაციის თასის გათამაშება გამოტოვეს კვლავ ნაკრებში არიან. ბერლინის „ჰერტას“ მცველი ჟილბერტო ტრავმირებულია, მის ნაცვლად კი მწვრთნელმა „კორინთიასიდან“ გუსტავო ნერი გამოიძახა.

ეს გუნდები ერთმანეთს ბოლოს 1996 წლის მაისში შეხვდნენ და 1:1 ითამაშეს. მასპინძლებს დადო პრსო დააკლდებათ, რომელიც გასულ უკანმეებზე „აბერდინთან“ მატჩში დაშავდა ნაკრების თავკაც ზლატკო კრანჩარს შეუთვალა, ვერ ჩამოვალ, დასვენება მჭირდებაო.

ვაჟა ხუციშვილი

დღევანდელ მატჩს დადო პრსო და რონალდინიო დააკლდებიან

მათეუსის ცვლილებები და დებიუტანტი მარადონა

უნგრეთი — არგენტინა

უნგრეთის ნაკრების გერმანელი დამრიგებელი ლოთარ მათეუსი თავისი ფეხბურთელების დიდად კმაყოფილი არ უნდა იყოს. მცირე ხნის წინ მადიართა ეროვნული გუნდი ფერენც პუშკაშის პატივსაცემად გამართულ ამხანაგურ მატჩში მადრიდის „რეალთან“ 1:3 დაეცა. ამის გამო ლეგენდარული გერმანელი საკუთარ ნაკრებს არგენტინასთან ამხანაგურ შეხვედრაში შეძლებისდაგვარად გადაახალისებს. სასტარტო თერთმეტში „ფერენც პუშკაშზე“ თავმოყირილი ფანობა გიორ ეტოელ პეტერ შტარკს, უიპეშტელ პეტერ რაჟჩის და ფერენცვაროშელ დენეს როსას ნახავს (არც ერთი მათგანს „რეალთან“ არ უთამაშია).

უნგრეთთან მატჩში ლეო მესის დებიუტი იგეგმება

გარდა ამისა, ითამაშებს ზოლტან გერაც, „ვესტ ბრომვიჩის“ ფეხბურთელი, რომელმაც, მიუხედავად მუხლის ტკივილისა, მედიასთან საუბარში ბრძოლის დიდი სურვილი გამოთქვა. უნგრული პრესა ნაკრების ძირითადში მოხვედრას კრისტიან კენესისაც უწინასწარმეტყველებს, თანაც არც თუ ისე უსაფუძვლოდ — „გიორ ეტოს“ მოთამაშემ „რეალს“ ის ერთადერთი საპასუხო გოლი შეუგდო.

„მეტოქე მსოფლიოს საფეხბურთო გრანდთა რიცხვს განეკუთვნება. მატჩის წინ დიდ ეიფორიას არ მივეცემით, უბრალოდ, მინდა, ყველა ფეხბურთელმა მოედანზე თავისი საქმე მეტ-ნაკლებად ზუსტად შეასრულოს. მაშინ არგენტინელებს გამარჯვების ნაკლები შანსები ექნებათ“ — აღნიშნა ლოთარ მათეუსმა.

პატაგონიელებს უნგრეთთან შეხვედრა კარგად აქვთ დაცდილი. სულ ამ გუნდებს ერთმანეთში აქამდე 7 მატჩი ჩაუტარებიათ. ერთხელ ევროპელებმა მოიგეს, ერთიც ფრედ დასრულდა, 5 თამაშში კი არგენტინის ნაკრებმა მეტოქეს არავითარი შანსი არ დაუტოვა. გარდა ამისა, 1977 წლის 27 თებერვალს „ლა ბონბონერას“ არენაზე მადიართა ეროვნულ გუნდთან ასევე ამხანაგურ შეხვედრაში დიეგო მარადონას დებიუტიც შედგა. ფეხბურთის მეფეს მოედანზე მწვრთნელმა მეორე ტაიმში, ლეოპოლდო ლუკეს ნაცვლად უხმო.

თუ სამხრეთამერიკულ გაზეთებს („კლარინი“, „ლა ნასიონი“ და ასე შემდეგ) ვენდობით, დღეს „ფერენც პუშკაშ სტადიუმზე“ „მეორე მარადონას“ სადებიუტო მატჩი შედგება — პატაგონიელთაგან ფეხბურთის მომავალ მეფედ მონაილული 18 წლის ლეო მესი მოედანზე გამოსვლის შანსს ელის.

„ხოსე პეკერმანმა იცის, რომ არგენტინის ნაკრებს ჩემი ბურთაობა ზიანს არ მოუტანს. თუ დამრიგებელმა მოედანზე გამიყვანა, გუნდის მოსაგებად ყველაფერს გავაკეთებ“ — განუცხადა მესიმ ჟურნალისტებს. მარადონობის მსურველი ლეოს გარდა უნგრეთის დაჩაგვრას აიალა, მილიტო, სორინი, სკალონი, მაქსი როდრიგესი და სხვა სამხრეთელებიც ეცდებიან.

„გუნდის ყველა ძირითადი ფეხბურთელი მწყობრშია და პრობლემები არ გვაქვს“ — თქვა ხოსე პეკერმანმა.

ლადო ხომერიკი

...და ან ცაზე ვარსკვლავები

პაულინო ალკანტარა ფილიპინელი ექიმი

კატალონიური „ბარსელონა“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კლუბია მსოფლიოში და მას უამრავი ქომაგი ჰყავს. ბუნებრივია, გუნდში მრავალი მსოფლიო დონის ვარსკვლავი თამაშობდა, მაგრამ თანამედროვე გულშემატკივართა საკმაოდ დიდ ნაწილს ყოველთვის ავიწყდება (ზოგმა კი სულაც არ იცის), ერთი მოთამაშის ხსენება. იგი დღემდე კლუბის საუკეთესო ბომბარდირი, შემდგომში „ფილიპინელ ოქროს ბიჭუნად“ წოდებული ესპანელ-ფილიპინელი პაულინო ალკანტარაა.

ალკანტარას საფეხბურთო კარიერაზე და საერთოდ ცხოვრებაზე, სამწუხაროდ, ყველაფერი ცნობილი არ არის, თუმცა ინფორმაცია, რომლის მოპოვებაც შესაძლებელია, არცთუ ისე მწირია და მშვენიერ ლეგენდას ქმნის.

მისი მამა ესპანელი ჯარისკაცი იყო, რომელიც ფილიპინებში მსახურობდა. დედაზე სხვადასხვაგვარი ინფორმაცია ვრცელდება, თუმც ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს და ალბათ აჯობებს, ფილიპინურ წყაროს ვენდოთ, რომელიც ცხადია, ამტკიცებს, რომ პაულინო ალკანტარას დედას ფილიპინელი წინაპრები ჰყავდა, თუმცა მის გვარში ესპანური სისხლიც ერია.

ალკანტარა ფილიპინებში, კერძოდ, ქალაქ ილო-ილოში დაიბადა. მას ორმაგი მოქალაქეობა ჰქონდა, რაც მამამისის სამშობლოში გამგზავრების უფლებას აძლევდა. ჰოდა, პაულინოს ოჯახმაც წინასწარ დაგეგმა ყველაფერი. მათ გადაწყვიტეს, 14 წლის ბიჭი ესპანეთში გაეშვათ სასწავლებლად. მშობლები ფიქრობდნენ, რომ იგი იქ კარგად დაეუფლებოდა ექიმის პროფესიას, შემდეგ კი მანილაში დაბრუნდებოდა და ადვილად აიწყობდა ცხოვრებას. გარკვეულწილად ასეც მოხდა.

იმ პერიოდში ფილიპინებში ფეხბურთი ყველაზე პოპულარული სპორტი იყო (დღესდღეობით კალათბურთია) და მისდამი გულგრილი არც პაულინო გახლდათ. იგი მამამისის ქალაქში, ბარსელონაში სწავლობდა, პარალელურად კი სკოლის გუნდ „გალენოში“ თამაშობდა და, როგორც ყველა იქაური, „ბარსელონაში“ მოხვედრაზე ოცნებობდა.

თავდაპირველად მისი ოცნების ახდენის შანსები არც ისე დიდი გახლდათ. სუსტი ფიზიკური მონაცემების გამო პაულინოს ალმაცერად უყურებდნენ მწვრთნელები, მაგრამ თავად იგი ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდა. არადა, იმ პერიოდში გუნდები 4-5 თავდამსხმელით და გაცილებით მძიმე, ბუნებრივია, დაუხვეწავი ბურთით თამაშობდნენ. ასეთ პირობებში კი, თანაც შედარებით ჯანიან თანაგუნდელებსა და მეტოქეთა მცველებთან ჭიდილში, თავის გამოჩენა საკმაოდ რთული გახლდათ. მიუხედავად ამისა, პაულინომ ეს შეძლო, მაგრამ შემთხვევითობის დახმარებით.

აღსანიშნავია, რომ 20-იანი წლების ბოლომდე ესპანეთში საერთო ჩემპიონატი არ ტარდებოდა და თითქმის ყველა მხარე თავის ტურნირს მართავდა. მათ შორის კატალონიის ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული იყო.

1912 წელს „ლოს არლეკინოს“ სტადიონზე ახალი პროექტორები დაამონტაჟეს და კატალონიის ჩემპიონატის მატჩებამდე განათების ხარისხის გამოცდა ამხანაგური შეხვედრით გადაწყვიტეს. თამაში 12 აგვისტოს გაიმართა და მასში ექსპერიმენტული შემადგენლობით დაკომპლექტებული „ბარსელონა“ ჩემპიონატში თამაშის ერთ-ერთ კანდიდატ „საბადელს“ დუპირისპირდა.

შეხვედრაში მონაწილეობა ალკანტარამაც მიიღო და ჩინებულად ითამაშა. „ბარსამ“ 8:2 მოიგო, ხოლო 15 წლის პაულინომ ჰეთთრიქი შეასრულა და ამ მატჩის შემდეგ „ბარსელონას“ ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად და გულშემატკივრების საყვარელ მოთამაშედ იქცა. სწორედ პაულინო ალკანტარა გახლავთ კატალონიური ინჩადის პირველი კერპი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქომაგებმა მას „ფილიპინელი ოქროს ბიჭი“ შეარქვეს.

1913 წელს პაულინომ უკვე უდიდეს წარმატებას მიაღწია. იგი პირველად გახდა კატალონიის ჩემპიონი და ესპანეთის თასის მფლობელი. გარდა ამისა, დღემდე კლუბის ყველაზე ახალგაზრდა დებიუტანტი და გოლის ავტორია.

შემდეგ მეტ-ნაკლებად აღსანიშნავ წარმატებას პაულინომ 1915 წელს მიაღწია. „ბარსამ“ და „ესპანიოლმა“ თანაბარი ქულები დააგროვეს, გადამწყვეტ მატჩში კი „პტარა კატალონიელებმა“ ანუ „ესპანიოლის“ ფეხბურთელებმა იმარჯვეს. თუმც 1916 წელს „ბარსელონა“ უკვე შეუჩერებელი იყო. იმავე წელს პაულინომ სწავლის პირველი ეტაპი დაასრულა და მიუხედავად ძალიან წარმატებულად დაწყებული საფეხბურთო კარიერისა, ფილიპინებზე დაბრუნება მოუხდა.

იქ იგი ოჯახის გეგმის მიხედვით მოქმედებდა და სამედიცინო სფეროში პრაქტიკას იღრმავებდა, მაგრამ არც ფეხბურთისთვის დაუნებებია თავი. 1916-18 წლებში პაულინო ადგილობრივ „ბოჰემიანსში“ ბურთაობდა. მან ფილიპინების ნაკრებშიც დაიწყო თამაში.

სამწუხაროდ, მისი ფილიპინური საფეხბურთო კარიერის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. ერთადერთი, რაც შეიძლება დანამდვილებით ითქვას, ალკანტარამ ითამაშა იაპონიის ნაკრების წინააღმდეგ და თანაგუნდელებთან ერთად 15:2 სძლია მეტოქეს. საინტერესოა, რომ იმ პერიოდში იაპონია აზიურ თამაშებს მასპინძლობდა და პაულინო თავისი ქვეყნის ღირსებას მაგიდის ჩოგბურთშიც იცავდა.

ალკანტარას გარეშე „ბარსელონამ“ ორი უფერული სეზონი ჩაატარა და კლუბის ხელმძღვანელებმაც მისი დაბრუნება მოინდომეს. წინააღმდეგი არც თავად პაულინო გახლდათ, მაგრამ მშობლებს ამის გაგონებაც არ სურდათ. შეიძლება ითქვას, რომ ამ შემთხვევაში ახალგაზრდა ფეხბურთელს სამედიცინო განათლება დაეხმარა. იგი განგებ დაავადდა მალარიით და დედამამას დაემუქრა, ესპანეთში წასვლის უფლება მომეცით, თორემ სპეციალურ წამლებს არ მივიღებო. რა თქმა უნდა, ამგვარმა შანტაჟმა გაამართლა. 1918 წელს პაულინო ბარსელონაში დაბრუნდა სასწავლებლად და საფეხბურთო კარიერის გასაგრძელებლად.

თავდაპირველად „ბარსას“ მაშინდელმა თავკაცმა ჯეკ გრინველმა იგი დაცვაში დააყენა, მაგრამ სეზონის მსვლელობისას კლუბის ხელმძღვანელობამ კატეგორიულად მოითხოვა ალკანტარას თავდასხმაში დაბრუნება, რამაც შედეგი გამოიღო. 1919 წელს პაულინო ალკანტარა „ბარსასთან“ ერთად მესამედ ხდება კატალონიის ჩემპიონი. გარდა ამისა, გუნდი ესპანეთის თასის ფინალში გადის, მაგრამ დიდი ანგარიშით მარცხდება.

1920 წელს პაულინო ბრწყინვალედ თამაშობს და ბარსელონასთან ერთად იგებს, როგორც კატალონიის ჩემპიონატს, ასევე ქვეყნის თასს. ამის შემდეგ იგი ესპანეთის ნაკრებში მიიწვიეს ოლიმპიური თამაშებისთვის, მაგრამ ალკანტარამ გამოცდები მოიმიზეზა და ბელგიაში გამგზავრებაზე უარი განაცხადა. მიუხედავად ამისა, ესპანელებს ცუდად არ უთამაშიათ და ვერცხლის მედლების მოპოვება შეძლეს. ნაკრებში პაულინოს ოთხი თანაგუნდელი იყო (ზამორა, სანჩო, სემიტარი, სესემუნაგა) და მათ შორის ერთ-ერთმა სესემუნაგამ ტურნირზე 4 გოლით გამოიჩინა თავი.

შემდეგ წელს „ბარსელონა“ კვლავ კატალონიის ჩემპიონია, ხოლო ალკანტარა 9 ოქტომბერს ბელგიელების წინააღმდეგ თავის პირველ მატჩს ატარებს ესპანეთის ნაკრების მაისურით და ორი გოლიც გაქვს. იმ შეხვედრაში მეტი ბუროი არც გასულა.

საერთოდ პაულინოს სანაკრებო კარიერა ძალიან ხანმოკლე, მაგრამ არცთუ უშედეგო აღმოჩნდა — სულ 5 მატჩი გამართა და 6 გოლი გაიტანა. ესპანეთის ღირსება ალკანტარამ ბოლოს 1923 წლის 16 დეკემბერს პორტუგალიასთან დაიცვა. ამის შემდეგ იგი თავად აცხადებდა უარს ნაკრებში თამაშზე, მიზეზი კი ძველი გახლდათ — სწავლა.

აქვე უნდა მოვიგონოთ 1922 წლის 30 აპრილს ბორდოში გამართული მატჩი საფრანგეთსა და ესპანეთს შორის. იმ შეხვედრაში ტრავიეზომ და ალკანტარამ ორ-ორჯერ იხვიერეს, რის შედეგადაც სტუმრებმა 4:0 იმარჯვეს. პაულინომ ერთ-ერთი ბურთი დაახლოებით 35 მეტრიდან გაიტანა ჩინებული დარტყმით და ამაზე გაუთავებლად ლაპარაკობდნენ. საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა ეს გოლი ულამაზესად.

საკლუბო კარიერა კვლავ წარმატებულად გრძელდებოდა. 1922 წელს მისმა „ბარსელონამ“ მორიგი დუბლი შეასრულა. მომდევნო სეზონში გუნდი დატოვა ლეგენდარულმა მეკარემ რიკარდო ზამორამ, რომელიც „ესპანიოლში“ გადაბარგდა. ამას ერთწლიანი ნაგარდნა მოჰყვა, მაგრამ [illegible] და კომპანია მალე [illegible].

1924 წელს გუნდმა კატალონიის ჩემპიონატის წოდება დაიბრუნა, ხოლო 1925 და 1926 წლებში „ბარსამ“ ალკანტარასთან ერთად იგივე წარმატებას კიდევ ორჯერ მიაღწია და თან ქვეყნის თასიც მიჯრით მოიგო. აქედან განსაკუთრებულად უნდა გამოვარჩიოთ 1926 წლის დრამატული ფინალი. „ბარსელონამ“ და მადრიდის „ატლეტიკომ“ 90 წუთში გამარჯვებულის გამოვლენა ვერ შეძლეს (2:2), დამატებით დროში კი ალკანტარამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა თავის კარიერაში და გუნდს მორიგი გამარჯვება მოუტანა.

1927 წელს ესპანეთის თასის ნახევარფინალში დამარცხების შემდეგ, მიუხედავად შესანიშნავი სათამაშო ფორმისა, პაულინომ გადაწყვიტა, ფეხბურთელის კარიერა დაესრულებინა და მოღიანად მედიცინაზე გადართულიყო. იმავე წლის 5 ივლისს მისი გამოსამშვიდობო მატჩი გაიმართა „ბარსელონასა“ და ესპანეთის ნაკრებს შორის.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პაულინო ალკანტარამ კატალონიის ჩემპიონატში 357 მატჩი ჩაატარა და 356 გოლი გაიტანა, ხოლო ესპანეთის თასზე გამართული 18 შეხვედრაში მის ანგარიშზე ამდენივე ბურთია. მას „ბარსელონას“ მაისურით ესპანეთის თასზე [illegible] შორის ფინალებში! თუ კატალონიის ჩემპიონატში მრავალი მნიშვნელოვანი გოლი გაუტანია.

მართალია, ბევრი რამ ცნობილი არ არის, ხოლო ზოგიერთი ფაქტის დაზუსტება უკვე შეუძლებელია, ზემოთ მოთხრობილიც ძალიან კარგ შთაბეჭდილებას გვიქმნის პაულინო ალკანტარას პიროვნებაზე და მის შესაძლებლობებზე. ისევ თუ ისე, იგი თავისუფლად შეძლება ჩავთვალოთ ფილიპინელი და ესპანეთის, კერძოდ „ბარსელონის“ სიამაყედ.

სათამაშო კარიერის დასრულების შემდეგ პაულინო სამუდამოდ არ წასულა ფეხბურთიდან. 1931 წელს იგი „ბარსელონას“ დირექტორთა საბჭოში შეიყვანეს. 1931 წელს კი ალკანტარა ესპანეთის ნაკრებს ხელმძღვანელობდა. მისი თავკაცობით ესპანეთმა სამი შეხვედრა გამართა და ერთიც არ წაუგია (შვეიცარიასთან 6:3, ბელგიასთან 3:3, შვედეთთან 0:0). მიუხედავად ამისა, იგი ამ პოსტზე ძველმა თანაგუნდელმა რიკარდო ზამორამ შეცვალა.

აღსანიშნავია, რომ ალკანტარას არ შეჰყრია უამრავი ცნობილი ფეხბურთელისთვის დამახასიათებელი სენი „ვარსკვლავის სინდრომი“, რაც მას დადებითად ახასიათებს. თუმცა კარგი იქნებოდა ფეხბურთისთვის უფრო მეტი ყურადღება დაეთმო და გაცილებით უკეთ გამოეყენა თავისი შესაძლებლობები. შესაძლოა, იგი მსოფლიოს, განსაკუთრებით კი ესპანურ ფეხბურთს გაცილებით დიდ სარგებელს მოუტანდა თუმც მისი რომელიმე ვირუსით დაავადება ძალიან ძნელი გახლდათ, იგი ხომ ექიმი იყო...

„ფილიპინელი ოქროს ბიჭი“ 1964 წლის 13 თებერვალს 67 წლის ასაკში ბარსელონაში გარდაიცვალა.

„ბარსელონას“ ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი პაულინო ალკანტარა და გუნდის დამაარსებელი ხუან გამპერი

გიორგი კაკაბაძე

სარგებელი & კროკი

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		20 აგვისტო						
15:45	1	მანჩესტერი-ასტონ ვილა	1.25	4.80	10.00	1.00	1.11	3.24
18:00	2	ნიუკასლი-ვესტ ჰემი	1.65	3.40	5.10	1.11	1.24	2.03
18:00	3	ტოტენჰემი-მიდლსბრო	1.85	3.30	4.00	1.18	1.26	1.80
18:00	4	ვესტ ბრომვიჩი-პორტსმუთი	2.05	3.30	3.30	1.26	1.26	1.64
18:00	5	ბლექბერნი-ფულემი	1.95	3.30	3.50	1.22	1.25	1.69
18:00	6	ჩარლტონი-უიგანი	1.75	3.30	4.50	1.14	1.25	1.90
18:00	7	ლივერპული-სანდერლენდი	1.30	4.50	9.50	1.00	1.14	3.05
20:15	8	ბირმინგემი-სიტი	2.15	3.30	3.00	1.30	1.25	1.57
		21 აგვისტო						
16:30	9	ბოლტონი-ევერტონი	2.10	3.30	3.15	1.28	1.25	1.61
19:00	10	ნელსი-არსენალი	1.90	3.30	3.60	1.20	1.24	1.72
		საფრანგეთი. I დივიზიონი						
		20 აგვისტო						
22:00	123	აიაჩიო-ლე მანი	1.85	3.00	4.40	1.14	1.30	1.78
19:15	124	ბორდო-მონაკო	2.30	3.00	3.00	1.30	1.30	1.50
22:00	125	ლანსი-ოსერი	2.05	2.90	3.60	1.20	1.30	1.60
22:00	126	ლიონი-ნანსი	1.25	4.40	12.00	1.00	1.13	3.21
22:00	127	მეცი-სტრასბური	2.20	2.90	3.30	1.25	1.32	1.54
22:00	128	ნიცა-ნანტი	2.05	3.10	3.30	1.23	1.26	1.59
22:00	129	რენი-მარსელი	2.30	3.10	2.85	1.32	1.27	1.48
22:00	130	სიმი-ლილი	2.25	3.00	3.10	1.28	1.30	1.52
20:00	131	ტულუზი-სტეტიენი	2.00	3.00	3.60	1.20	1.28	1.63
22:45	132	ტრუა-აჟე	3.20	3.10	2.15	1.57	1.28	1.26
		ბელგია. I დივიზიონი						
		19 აგვისტო						
22:30	153	სტანდარდი-სტ.ტრუიდენი	1.30	4.80	8.00	1.02	1.11	3.00
		20 აგვისტო						
20:00	154	ანდერლეხტი-ბეერსხოტი	1.20	5.40	10.00	1.00	1.07	3.50
22:00	155	ბევერენი-ლიერსი	2.45	3.30	2.50	1.40	1.23	1.42
22:00	156	ბრიუგე-რეჭელარე	1.20	5.40	10.00	1.00	1.07	3.50
22:00	157	შარლეროა-მუსტრისი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
22:00	158	გენტი-სერკლი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
22:00	159	ვესტერლო-გენკი	2.45	3.50	2.40	1.44	1.21	1.42
22:00	160	ვარეგემი-ლუვიე	1.95	3.30	3.45	1.22	1.24	1.68
		21 აგვისტო						
20:00	161	ლოკერენი-ბრიუსელი	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		19 აგვისტო						
22:30	162	ბრედა-ტილბურგი	1.85	3.40	3.55	1.19	1.21	1.73
		20 აგვისტო						
21:30	163	როზენდალი-აიაქსი	7.00	4.00	1.40	2.54	1.16	1.03
21:30	164	ჰერენვენი-როდა	1.95	3.30	3.45	1.22	1.24	1.68
21:30	165	დენ ჰააგი-ჰერაკლესი	1.70	3.30	4.70	1.12	1.24	1.93
22:00	166	ტვენტე-ნაიმეგენი	1.65	3.40	4.70	1.11	1.22	1.97
		21 აგვისტო						
14:30	167	სპარტა-ფეიენოორდი	6.00	3.60	1.50	2.25	1.20	1.05
16:30	168	უტრეხტი-ალკმაარი	2.40	3.50	2.45	1.42	1.21	1.44
16:30	169	პსვ-ვიტესი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
16:30	170	ვალვაიკი-გრონინგენი	1.95	3.40	3.35	1.23	1.23	1.68
		ფინეთი						
		18 აგვისტო						
20:00	479	ჰაკა-ტურკუ	1.50	3.50	6.20	1.04	1.20	2.23
		ისლანდია						
		18 აგვისტო						
23:00	320	ვესტმანაეიარი-გრინდავიკი	1.80	3.30	3.75	1.16	1.21	1.75
		აშშ						
		17 აგვისტო						
23:45	343	კოლორადო-ნიუ ინგლენდი	2.55	3.05	2.45	1.38	1.24	1.35
		მზ. შესარჩევი მატჩები						
		17 აგვისტო						
19:00	390	ლატვია-რუსეთი	3.80	3.30	1.80	1.76	1.22	1.16
22:00	391	ფარერები-კიპრი	3.20	3.20	2.00	1.60	1.23	1.23
22:00	392	მაკედონია-ფინეთი	2.90	3.20	2.15	1.52	1.23	1.28
22:15	393	ლიხტენშტაინი-სლოვაკეთი	15.00	7.00	1.08	4.77	1.00	1.00
22:30	394	რუმინეთი-ანდორა	1.02	9.00	15.00	1.00	1.00	5.62
21:30	395	სუდანი-ბენინი	1.75	3.10	4.20	1.11	1.23	1.78
21:45	396	ტუნისი-კენია	1.25	4.50	10.00	1.00	1.11	3.10
14:30	397	იაპონია-ირანი	1.70	3.30	4.30	1.12	1.21	1.86
15:05	398	სამხრეთ კორეა-ს.არაბეთი	1.65	3.30	4.70	1.10	1.22	1.93
17:05	399	უზბეკეთი-კუვეიტი	2.05	3.20	3.20	1.24	1.24	1.60
20:35	400	ბაჰრეინი-კორეა	1.55	3.40	5.30	1.06	1.19	2.07
23:45	401	აშშ-ტრინიდადი	1.15	5.50	12.00	1.00	1.04	3.77
23:45	402	გვატემალა-პანამა	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
23:45	403	მექსიკა-კოსტა რიკა	1.25	4.70	9.50	1.00	1.10	3.14
		ამხანაგური მატჩები						
		17 აგვისტო						
19:30	462	უნგრეთი-არგენტინა	5.50	3.50	1.50	2.13	1.17	1.04
21:00	463	ნორვეგია-შვეიცარია	1.90	3.10	3.50	1.17	1.23	1.64
21:00	464	ბულგარეთი-თურქეთი	2.40	3.10	2.55	1.35	1.23	1.39
22:00	465	დანია-ინგლისი	2.95	3.10	2.15	1.51	1.24	1.26
22:15	466	ბელგია-საბერძნეთი	2.25	3.10	2.80	1.30	1.24	1.47
22:15	467	შვედეთი-ჩეხეთი	2.35	3.00	2.70	1.31	1.25	1.42
22:30	468	ჰოლანდია-გერმანია	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
22:30	469	ირლანდია-იტალია	3.00	2.80	2.30	1.44	1.30	1.26
22:30	470	უელსი-სლოვენია	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1.59
22:30	471	ავსტრია-შოტლანდია	1.60	3.40	4.90	1.08	1.20	2.00
23:15	472	ხორვატია-ბრაზილია	3.90	3.30	1.75	1.78	1.20	1.14
23:45	473	ესპანეთი-ურუგვაი	1.50	3.50	5.50	1.04	1.17	2.13
23:45	474	პორტუგალია-ეგვიპტე	1.30	4.00	8.00	1.00	1.11	2.66
		ესპანეთი. სუპერ თასი						
		21 აგვისტო						
23:00	453	ბარსელონა-ბეტისი	1.20	5.00	10.00	1.00	1.07	3.33

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11390	ლატვია-რუსეთი	5.50	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	2.35
11391	ფარერები-კიპრი	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11392	მაკედონია-ფინეთი	4.80	10.00	20.00	5.60	4.40	4.20	20.00	10.00	3.30
11395	სუდანი-ბენინი	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00
11397	იაპონია-ირანი	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.00	20.00	10.00	7.00
11398	სამხ. კორეა-ს.არაბეთი	2.40	10.00	20.00	3.50	4.60	7.00	20.00	10.00	7.00
11399	უზბეკეთი-კუვეიტი	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11400	ბაჰრეინი-კორეა	2.20	10.00	20.00	3.50	4.50	9.00	20.00	10.00	7.50
11402	გვატემალა-პანამა	2.50	10.00	20.00	3.50	4.60	7.50	20.00	10.00	7.00

I ტაიმის შედეგები

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10390	ლატვია-რუსეთი	4.40	2.00	2.10	1.37	[illegible]	[illegible]
10391	ფარერები-კიპრი	3.50	2.00	2.40	1.27	1.42	[illegible]
10392	მაკედონია-ფინეთი	3.40	2.00	2.40	1.25	1.40	1.09
10395	სუდანი-ბენინი	2.10	2.00	4.80	1.02	1.46	1.41
10397	იაპონია-ირანი	1.95	2.00	4.80	1.00	1.38	1.41
10398	სამხრეთ კორეა-ს.არაბეთი	1.95	2.00	4.80	1.00	1.38	1.41
10399	უზბეკეთი-კუვეიტი	2.45	2.00	3.70	1.10	1.47	1.29
10400	ბაჰრეინი-კორეა	1.90	2.10	5.00	1.00	1.37	[illegible]
10402	გვატემალა-პანამა	2.10	2.00	4.40	1.02	1.42	1.37

ფრეს ბარეში (ძირ დრო)

16390	ლატვია-რუსეთი	2.40	1.35
16391	ფარერები-კიპრი	2.15	1.50
16392	მაკედონია-ფინეთი	2.00	1.50
16395	სუდანი-ბენინი	1.30	2.50
16397	იაპონია-ირანი	1.25	2.85
16398	სამხრეთ კორეა-ს.არაბეთი	1.25	2.90
16399	უზბეკეთი-კუვეიტი	1.45	2.20
16400	ბაჰრეინი-კორეა	1.20	3.00
16402	გვატემალა-პანამა	1.30	2.80

ბაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13390	ლატვია-რუსეთი	1.70	1.90
13391	ფარერები-კიპრი	1.70	1.90
13392	მაკედონია-ფინეთი	1.70	1.90
13395	სუდანი-ბენინი	1.70	1.90
13397	იაპონია-ირანი	1.70	1.90
13398	სამხრეთ კორეა-ს.არაბეთი	1.70	1.90
13399	უზბეკეთი-კუვეიტი	1.70	1.90
13400	ბაჰრეინი-კორეა	1.70	1.90
13402	გვატემალა-პანამა	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე წსონი დაგებულად ჩაითვლება)

14390	ლატვია-რუსეთი	2.10	1.55
14391	ფარერები-კიპრი	2.00	1.65
14392	მაკედონია-ფინეთი	2.10	1.70
14395	სუდანი-ბენინი	1.40	2.30
14397	იაპონია-ირანი	1.35	2.50
14398	სამხრეთ კორეა-ს.არაბეთი	1.35	2.50
14399	უზბეკეთი-კუვეიტი	1.65	2.30
14400	ბაჰრეინი-კორეა	1.30	2.50
14402	გვატემალა-პანამა	1.40	2.40

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15390	ლატვია-რუსეთი	3.00	2.80	2.00
15391	ფარერები-კიპრი	3.00	2.80	2.00
15392	მაკედონია-ფინეთი	3.00	2.80	2.00
15395	სუდანი-ბენინი	3.00	2.80	2.00
15397	იაპონია-ირანი	3.00	2.80	2.00
15398	სამხ. კორეა-ს.არაბეთი	3.00	2.80	2.00
15399	უზბეკეთი-კუვეიტი	3.00	2.80	2.00
15400	ბაჰრეინი-კორეა	3.00	2.80	2.00
15402	გვატემალა-პანამა	3.00	2.80	2.00
15403	მექსიკა-კოსტა რიკა	3.00	2.80	2.00

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ელექტრონული გაცვლა" [illegible]
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ჭელმანი [illegible]
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრინის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე [illegible]
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში
	წმინდა ნინოს ქუჩა № 13	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	„ახალი ავტოსადგური" ალაზნის გამზირი	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 1	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №50	
ოზურგეთი	გაბრიელ ეპისკოპოსის ქუჩა №2	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

გოლი:ფსონი-10%ი კენტი-2. (0:0 ითვლება ფსონად)

17390	ლატვია-რუსეთი	1.85	1.95
17391	ფარერები-კიპრი	1.85	1.95
17392	მაკედონია-ფინეთი	1.85	1.95
17395	სუდანი-ბენინი	1.85	1.95
17396	ტუნისი-კენია	1.85	1.95
17397	იაპონია-ირანი	1.85	1.95
17398	სამხრეთ კორეა-ს.არაბეთი	1.85	1.95
17399	უზბეკეთი-კუვეიტი	1.85	1.95
17400	ბაჰრეინი-კორეა	1.85	1.95
17401	აშშ-ტრინიდადი	1.85	1.95
17402	გვატემალა-პანამა	1.85	1.95
17403	მექსიკა-კოსტა რიკა	1.85	1.95

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

12390	ლატვია-რუსეთი	1.70	1.90
12391	ფარერები-კიპრი	1.70	1.90
12392	მაკედონია-ფინეთი	1.70	1.90
12395	სუდანი-ბენინი	1.70	1.90
12397	იაპონია-ირანი	1.60	2.0[illegible]
12398	სამხრეთ კორეა-ს.არაბეთი	1.70	1.90
12399	უზბეკეთი-კუვეიტი	1.70	1.90
12400	ბაჰრეინი-კორეა	1.70	1.90
12402	გვატემალა-პანამა	1.70	1.90

გულღრძო პელე და ალი

საზიზღარი შვედები და ნარკომანები ტუალეტში

მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი დღე რჩებოდა. დაბლა, სარბიელზე, ქალები 5 000 მეტრზე სირბილში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ტრიბუნიდან კი ამ შეჯიბრებას მილეთის ხალხი ადევნებდა თვალს, რომელთაგან ერთი განსაკუთრებით გაფაციცებული ჩანდა. ამ ადამიანს ეტყობოდა, რომ 5 000 მეტრზე სირბილს სხვანაირად აღიქვამდა, არადა შორეულ 1922 წელს, როდესაც მამამისი პაავო ნურმი პირველ მსოფლიო რეკორდს ამყარებდა (14:35.4), ამხელა დისტანციაზე სარბენად ქალებს უბრალოდ არ უშვებდნენ

მოდი, იმაზე, რომ დღეს ნურმის შედეგი მიუღწეველი ქალებისთვისაც ალარ არის, სიტყვას ნული გავაგრძელებთ. მძლეოსნობის ისტორიაში უკვე ოერომეტმა ლუდაკაცმა მოითავა 5 000 მეტრი უფრო სწრაფად, ვიდრე პაავო ნურმამ 83 წლის წინათ, ხოლო შაბათის გათენებში გაძარღვგაბულმა ჩარუნეშ დიბაბამ, რამდენიმე დღით ადრე 10 000 მეტრი ნურმის ოდინდელ შედეგზე (იმავე ლისბონიაზე) 16 წამით მალე გაიმარჯვა.

ერთი სიტყვით, მსოფლიო რეკორდი იმისაა, რომ ადრე თუ გვიან უნდა დაამხონ, ხოლო პოპულარობა, თავის 73-ე დაბადების დღეზე, პაავო ნურმამ ასეთი რამ თქვა: „დიდება და მსოფლიო რეპუტაცია ხის დამბალ ტოტადაც არ ღირს.“

არადა, თუკი პოპულარობაზე ვლაპარაკობთ, მიკიბ-მოკიბვისა და დიპლომატიურობის გარეშე უნდა თქვას, რომ პაავო ნურმის სახელსა და დიდებაზე მეტის წარმოდგენა ძნელია. კი, ბატონო, კიცი შეიძლება ძალიან პოპულარული იყოს ეთია თვის, წლის, თუნდაც ათი წლის მანძილზე, მაგრამ ამა, ეჰეჰე! ნიადის და საუკუნეს გაუძლოს! პაავო ნურმამ კი გაუძლო და თან ამ ხნის მანძილზე მისი სახელის რადიუსიანი მისტიფიკაციებიც მოხდა.

ძალიან ფიზიკით, პაავო ნურმამ თუკისა პაავო ნურმისთვის სახელი გაუოცია შვედს, მატის, რომელზეც ზეგით ძალახსენეთ, რომ შაბათის ტრიბუნაზე ოუდა და ქალია სირბილს უყურებდა. როგორ შეძლო ეს? ჩვეულებრივად: მატის, უკვე ბოლოკაცს, დღეს ალიან ხელის სხეულის შეუმჩნეველად, მშკვლად იცხოვრის, მაგრამ პაავო ნურმის შვილია და...

ალბა, სწორედ „ოლიმპიურ სტადიონზე“ ანუ იქ, სადაც მამამისს 1952 წლის ოლიმპიადის ჩირაღდანი ანთებინეს, მატი IAAF.ORG-ის კორესპონდენტს ჰელსინკიდან ჩრდილეთით ორი საათის სავალზე, პაავის მშობლიურ ქალაქ ტურკუში წაეყვანა და მამის შესახებ საუბარს დაპირდა.

საუბარი და საქმე ერთი იყო. მაგრამ ნურმამ კორესპონდენტი სადგურიდან მამისეულ სახლამდე პაექეთ გაიარა, მაგრამ, ერთი ორ ადგილას ფეხის ანჩარება და ტროუკების ჩაწარება დასჭირდა მეზობლების რომ არ შეეშინაოთ და არ მეკოვნებულიყვნენ. ეს, მარილია, მაწარებელზე...

„წერდნ, ითიქის მამანები მატარებლის დასდეგა და ასე ვარჯიშობდა. ტკბილია ეს ერთი ამ ზღაპრთაგანია მამაზე რომ მოიგონეს“

რაც შეეხება სახლმუზეუმს: დიდი ხის ჩრდილში მოქცეული ავეურისა და ხისგან ნაგები პატარა სახლი თანდათანობით პარტახდებოდა. ასე გახსოვეთ, იმ ადგილის პირდაპირ, სადაც დაიბადა და გაიზარდა 58 ოფიციალური და არაოფიციალური რეკორდის ავტორი და ოლიმპიადათა ცხრაგზის ჩემპიონი (ბლეს ორგზის ვერცხლის მედალოსანი), ტუალეტში ნარკომანები იკრიბებოდნენ. ასე, რომ მძლეოსნთა კლუბ „ტურუნ ურჰეილულიტ ის“ 1997 წელს ეროვნული საგანძურის აღდგენა და გარემის პატრონობა დასჭირდა.

ჰელსინკის „ოლიმპიურ სტადიონზე“ ფინელებმა ლეგენდარულ პაავო ნურმის ძეგლი დაუდგეს

მედლებზე კი იმას მოვახსენებთ, რომ ისინი მეტი იქნებოდა შურიანი შვედები რომ არა. დიახ, დიახ, სწორედ მეზობლებმა მოიგონეს ეგ პროვოკაციული და შეჯიბრებაზე არ დაკუმკაოთ, რის შედეგაც ნურმი ოცი წლის განმავლობაში ხერხიანად აღარსად გამოჩენილა. ფინეთში ამ უსინდისობას დღემდე ვერ ივიწყებენ.

საერთოდ, პაავო ნურმი უთქმელი და უხეში ადამიანი ყოფილა, მაგრამ იმავდროულად მდიდარი იყო იმ თვისებებით, რომელსაც ფინეთში „სისუს“ უძახიან — ნებისყოფა, თავდადება და ასეთები ერთად.

ახლა მატი ნურმის დავუბრუნდეთ და აღვნიშნოთ, რომ ვაჟსა და დიდ მამას საკმაოდ რთული ურთიერთობები ჰქონდათ. განა მრავლისმეტყველი არ არის ის, რომ ჩემპიონთა ჩემპიონ მამას შვილი სპორტული მიღწევების გამო კი არა, ბიზნეს-გენიერებასა ყოფილი ბირჟაზე შეძენილი გამოცდილების გამო ეთაყვანება.

„ბიზნესი საკუთარი გახვრეტილი ჯიბიდან წამოიწყო, ისე, რომ საქმეთა წარმოებისთვის ოყისიც არ ჰქონდა. აი, ასე დაიწყო და მივიდა იქამდე, რომ მისმა კომპანიამ ააშენა 40 კორპუსი თითოში 100 ბინით, — ამაყობს ვაჟი, რომელსაც მამის სიკვდილის შემდეგ მთელი ქონება სულაც არ დარჩა. მამამ მატის მხოლოდ ნაწილი დაუტოვა, მეორე ნაწილით კი პაავო ნურმის სახელობის გულის დაავადებათა შემსწავლელი ფონდი შექმნა.

ასე და ამგვარად, მატიმ ჟურნალისტი ნარკომანთა კლანჭებიდან დახსნილ აღდგენილ პატარა სახლში მიიყვანა, სადაც ხელუხლებლად შენახული პაპა-ბებიის ნაქონი ლოგინები ხელით ნაკერი ბალიშისპირებით. კედელზე ვამოკრულია მაშინდელი გაზეთი პაავო ნურმის რამდენიმე მედლის ფოტოთი, ხოლო კუთხეში გრამოფონიც დგას. სხვათაშორის, ეს გრამოფონი დღესაც მუშაობს და შეგიძლიათ იქვე შენახული ფირფიტაც კი ნახოთ — მარსისიკერნა ანუ მარშები.

„მამაჩემი ყოველ საღამოს ჩართავდა მარშებს და მუსიკის თანხლებით ვარჯიშობდა — ოკონებს ვაკეთებ, — თან ის რომ ვარჯიშობდა ოკეანეში ყველა ჩუმად უნდა ყოფილიყო, რაც მის დებს აღიზიანებდა ძალიან“

მძლეოსნობისა და სპორტის ისტორიის სპეციალისტები ამბობენ, რომ პაავო ნურმის რანგისა მსოფლიოში მის გარდა მხოლოდ ერთი იყო, ჩეხი ემილ ზატოპეკი, რომელმაც 1952 წელს სამი ოლიმპიური მედალი მოიგო და ისიც ბავშვობაში, ვარჯიშისას „ნურმი ვარ, ნურმი ვარო“ გაიძახოდა.

იცით, რა გააკეთა პაავო ნურმამ 1924 წელს? ვარჯიშზე 1500 მეტრზე სირბილში სარეკორდო დრო აჩვენა, მერე 50 წუთი დაისვენა და 5 000 მეტრზეც დაამყარა რეკორდი. პირველი შედეგი გახლდათ 3:53.6 ხოლო მეორე 14:28.2

მოკლედ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე პაავო ნურმი მსოფლიო სპორტისთვის იგივე იყო, რაც პელე ან მუჰამედ ალი, იმ განსხვავებით, ნურმი გულღრძო კაცი იყო და თავისთვის წამგებიანად იქცეოდა, მაგალითად ინტერვიუებს არ იძლეოდა.

და როგორც მოგახსენეთ, 1952 წლის ოლიმპიადაზე ჩირაღდანი პაავო ნურმის აანთებინეს. სწორედ მაშინ გამოჩნდა ნურმი საუკუნოდ პირველად მას შემდეგ, რაც შვედებმა ხრიკი მოუგონეს და სპორტიდან გარიყეს. მაშინ „ოლიმპიური სტადიონის“ ტრიბუნებმა გმირს საოცარი ოვაცია მოუწყეს, თუმცა...

მატი ნურმი: „ვფიქრობ მაშინდელი ოვაცია ცოტა გადაჭარბებული იყო. ხალხი მთლად ასეც არ ფიქრობდა... ყოველ შემთხვევაში შვედი ხალხი ნამდვილად არ ფიქრობდა ასე. მახსოვს, მაშინ ზაფხულის სამუშაოებზე ტურკუში ვიყავი გაგზავნილი და გამოვიპარე, რათა ოლიმპიადის გახსნას დავსწრებოდი. მამამ მერე ტყავი გამაძრო ისე დამსაჯა.“

ტუტა სიხარულიძე



გილერმო კორია

როჯერ ფედერერი

კვირეები გვაკვირვებენ
როჯერს შანგი მოსდებია

მასტერსის სერია
ცინცინატი, შვარსფარი, საპრიზო 2,2 მილიონი $

პირველი წრე

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 7:6 (7:3) 7:5; **ენდი როდიკი** (5, აშშ) — იურგენ მელცერი (ავსტრია) 6:3 6:4; **გილერმო კორია** (9, არგენტინა) — პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი) 6:4 6:2; **დავიდ ნალბანდიანი** (11, არგენტინა) — არდრეი პაველი (რუმინეთი) 6:2 7:6 (7:3); **ტიმ ჰენმანი** (12, ბრიტანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:2 6:1; **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (14, ხორვატია) 6:7 (4:7) 7:6 (9:7) 7:5; **გაელ მონფილი** (საფრანგეთი) — რადეკ შტეპანეკი (15, ჩეხეთი) 6:3 6:2; **რიშარ გასკე** (16, საფრანგეთი) — ფელისიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:5 4:6 6:1; **ხუან კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 0:6 6:3 6:2

სა-ამ-აშშ-ის-ღია-პირველობო მზადება რომ ფინიშის სწორზე გავიდა, ამქრის პირველოსანი და ხსენებული პირველობის გამარჯვებული სწორედ მაშინ ჩაება სამზადისში.

ამის მიზეზი თუნდ საქმეში ჩაუხედავ მკითხველსაც ეხსომება. მას შემდეგ, რაც რომ ზედიზედ მესამედ იმარჯვა უიმბლდონზე, როჯერ ფედერერმა დიდი ხნის განმავლობაში მტკივანი ფეხის მოშუშება არჩია და კაი თვენახევრიანი არდადეგიც აიღო.

ამ არდადეგის კვალი როჯერს ნაღდად ეტყობა — ფერხორცზე მოსულს ჰალალად ნასვენები კაცის იერი აქვს და ჩოგანსაც ოდნავ ჟანგმოკიდებული აქნევს. თუმცა ასეთიც საკმარისი გამოდგა საიმისოდ, რათა პირველ წრეში ჯეიმს ბლეიკს სეტისწაუგებლად გამკლავებოდა.

დიახ, იმ დღეს როჯერი მართლაც უჩვეულოდ ბევრს მიჰქარავდა და უკანახაზიდან თუ ბადეს მიჭრილმა არა ერთი უხელსაყრელესი ბურთი დაახია. მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ის მაინც ზეგარდმო სანახავი იყო და სულ ოდნავი აჩქარებითა თუ ტაქტიკური სქემის უმნიშვნელო ცვლილებით მყისვე ახერხებდა საჭირო უპირატესობის მოხვეჭას.

ასე მოიქცა ის პირველი სეტის ტაიბრეიკზე, როცა ბადესთან მოულოდნელი გაჭრით ბლეიკს. რამდენიმე საბედისწერო ქულა აართვა. ასევე ელვისებურად ასწრაფდა მეორე სეტის მეოთხე გეიმშიც — იმ მომენტისთვის ის 3:0-ს აგებდა და სეტის ბედიც თითქოს გარკვეული ჩანდა. მაგრამ როჯერმა ჯერ ანგარიშის გათანაბრება შეძლო, მოგვიანებით კი, როცა უკვე 5:5-ზე საქმეს სა-მეორ-ტაიბრეიკო პირი უჩანდა, ბლეიკის მოწოდებაზე 0:40 ჩამორჩენილმა ძალისხმევის მცირედი მატებით ზედიზედ ხუთ გათამაშებაში იმარჯვა — 6:5. ბოლო გეიმის მოგებას კი მერე აღარაფერი უნდოდა.

ბლეიკი: „მე მგონი, დღეს რიგიანად ვითამაშე. აი, როჯერი კი მოწოდების სიმაღლეზე ნაღდად არ ყოფილა. ამას მისი შეურაცხყოფის მიზნით კი არ ვამბობ, პირიქით, კომპლიმენტად ვეუბნები. ანუ იმის თქმა მინდა, რომ 100 პროცენტით არ უთამაშია და მაინც მომიგო-მეთქი. ეგეთი რამეები კი მხოლოდ ამქრის მოწინავე ჯეელებს შეუძლიათ — აი, უცებ ბრეიკპოინტს რომ აგახევენ, ანაც ტაიბრეიკზე რომ გაშმაგდებიან.... დღესაც ეგრე იყო, როცა კი დაჭირდა, მაშინ გამხიშტა. მე კი, იმის მიუხედავად, რომ მართლაც კარგად ვითამაშე, მაინც ვერაფერს ვუხერხებდი.“

ფედერერი: „დღეს ძალიან ბევრი ასაღები ბურთი ვერ მოვიგერიე, განსაკუთრებით მისი მოწოდებისას, ეისებზე. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თამაშის რიტმსგადაჩვეული თვალი ჯერ საკმარისად არ ამუშავებულა. ისე კი, მენტალურადაც და ფიზიკურადაც ფორმაში ვარ, უბრალოდ, ცოტა რეაქციები მაქვს მოდუნებული. იმედია, აქ საკმარისად ბევრს ვითამაშებ საიმისოდ, რათა ამ თვენახევრისას მოკიდებული ჟანგი ჩამოვიფერთხო. ამაში ისიც დამეხმარება, რომ ერთეულთა გარდა წყვილებშიც გამოვალ ჩემიან ივ ალეგროსთან ერთად.“

შეგახსენებთ, რომ ცინცინატობა იმ იშვიათ ტურნირთაგანია, რომელზეც ფედერერს ჯერ თავისი მსახვრალი ჩოგნის კვალი არ აღუბეჭდავს. იგი იქ მეოთხედ გამოდის და წინა სამ ჯერზე ოდენ მეორე წრემდე მიუღწევია.

ახლა ის მეორე წრეში გერმანელ ნიკოლას კიფერს შეხვდება — ვინაც თავის მხრივ თავის ეკვადორელ სეხნია ლაპენტის მოუგო — და სავარაუდოა, რომ მესამეში ამ ჯერად მაინც გააღწევს.

მანამდე კი ერთი გამორჩეული ინფორმაცია: იმის გამო, რომ ეს შვიდდღეული ფედერერისთვის მისი პირველოსნობის უკვე 81-ე კვირა გახლავთ, ეიტიპის რეიტინგსიათა შემოღების მერე ანუ 1973 წლიდან დღემდე ამქრის სათავეში ჯამურად ყველაზე მეტი კვირის მანძილზე მდგომ მეჩოგნეთა შორის მან ერთი კვირით გადაუსწრო ლეიტონ ჰიუიტს და მეშვიდე ადგილზე დამკვიდრდა.

ამქრის სათავეში შვეიცარიელი უკვე 2004 წლის პირველი თებერვლიდან დგას. იქ გატარებული კვირების ჯამური რაოდენობით მან ჰიუიტამდე წლეულს შტეფან ედბერგსა (72 კვირა) და ჯიმ კურიესაც (58) გადააბოტა, ხოლო ახლა ანდრე აგასისა (101) და ბიორნ ბორგს (109) ეტევება, რომელნიც სიაში, შესაბამისად, მეექვსე და მეხუთე არიან.

ამ ჩამონათვალს კი დიდი მუზარადის ყველაზე მეტი, 14 ტურნირის მომგები პიტ სამპრასი (286) ყოჩობს. პიტიდან ბორგამდე კი ივან ლენდლი (270), ჯიმი კონორსი (268) და ჯონ მაკინროი (170) დგანან.

მიჯრით ყველაზე მეტი კვირის განმავლობაში მოპირველოსნეთა ნუსხაში კი როჯერი 80-კვირიანი სერიით მეექვსე ადგილზე მდგომ ლენდლს ჩაენაცვლა. ლენდლი მეორე, 157-კვირიან საპირველოსნო სერიასაც მოიძევს და ამ მაჩვენებლით ოდენ კონორსს ჩამორჩება, ვისაც რეიტინგსიის კენწეროში ზედიზედ 160 კვირა დაუყვია. სამპრასი ამ სიაში ოდენ მესამეა 102 კვირით.

უკეთუ ამქრის ამჟამინდელი ლიდერი თავის სეფეჩოგანს აშშ-ის ღია პირველობის ბოლომდე შეინარჩუნებს და ზედიზედ 85-ე საპირველოსნო კვირას მიითვლის, მეორე ჩამონათვალში ის პიტის უკან, მეოთხე საფეხურზე დაივანებს.

მის სარეიტინგო ამბებზე საუბარს კი შემდეგით მოვამთავრებთ: მას შემდეგ, რაც რომ რაფა ნადალმა მონრეალში მოგებით მასტერსტურნირზე გამარჯვებისთვის დათქმული ასი ქულა მიირიცხა და ქულათა მარაგი 837 გაიზარდა, 910 ქულის მქონე ფედერერი მას მხოლოდ — მართალი ბრძანდებით! — 73 ქულითღა უსწრებს.

100 ქულითვე იხვირებს ისიც, ვინც ამ კვირაში ცინცინატში იჩემპიონებს, აშშ-ის ღია პირველობაზე გამარჯვებულს კი — ისევე როგორც დიდი მუზარადის ყველა სხვა ტურნირზე ნახეირალს — ზორბა 200-ქულიანი გრანტი ერგება...

სხვაფრივ — ცინციმასტერსის შარშანდელმა ჩემპიონმა ანდრე აგასიმ იქ ჩასვლა რომ იუარა, გუშინვე გაუწყეთ. მიზეზიც გეხსომებათ, ვეტერან არმენოამერიკელს სურს, თავისი ბებრული ილაჯი სწორედ აშშ-ის ღია პირველობისთვის გამოიზოგოს, სადაც მას, ბარემ ეგეც მოვიგონოთ, 1994 და 99 წლებში უპირველია.

შარშანწინდელი ჩემპიონი ენდი როდიკი კი საქმეშია და იმ დღეს წლეულს უკვე მესამედ, საერთოდ კი მეხუთედ სძლია ცაცია ავსტრიელ იურგენ მელცერს, თანაც ეს ცოტა უცნაურად იკისრა — რაკიღა მოწოდება არ წაუვიდა, ქულების დაგროვება ძირითადად ნაუკანახაზევი გლაჯუნით მოუხდა. ამიტომ იყო, ნამატჩევს რომ იძახდა, დღეს წინაუკმოდ ვითამაშეო.

მომდევნო შეხვედრას კი ის 2003 წლის როლანგაროსობის ჩემპიონ ხუან კარლოს ფერეროსთან გამართავს, რომელსაც ბოლოჯერ იმავე 2003 წელს აშშ-ის ღია პირველობის ფინალში ერკინა და — დასტურ არ უნდა დაგვიწყებოდათ — აჯობა კიდეც.

რაც შეეხება დანარჩენ შეხვედრებს, აქედან უწინარესად დახვეწილი ბრიტანელის, ტიმ ჰენმანის გამარჯვება უნდა გაძღიეს. კუნძულელმა, ვისაც წინა სამ ტურნირზე პირველივე წრიდან ანცემევინეს, ამ ჯერზე საათზე ოდნავ ნაკლები მოანდომა შარშანდელი ოლიმპიადის გამარჯვებული ნიკოლას მასუს ოტებას. ეს ჰენმანის მე-16 ცინცინატური მოგება იყო — 2000-ში მას იქ ფინალშიც უოთამაშია და ტომას ენკვისტო

კეთილი კაცი საბჭოეთიდან

გარდაიცვალა ალექსანდრ გომელსკი

გუშინ გამთენიისას 78 წლისა სიმსივნით გარდაიცვალა კალათბურთის ლეგენდარული მწვრთნელი ალექსანდრ გომელსკი.

მას სასიკვდილო დიაგნოზი ჯერ კიდევ შვიდი წლის წინ დაუსვეს, მაგრამ ძუდმივი და ხარისხიანი მკურნალობით აქამდე მოატანა. რამდენიმე თვის წინ განსაკუთრებით ცუდად შეიქნა და ამერიკაში, ჰიუსტონში წაიყვანეს. იქაურმა მკურნალობამ სიცოცხლე კიდევ რამდენიმე თვით გაუხანგრძლივა და სულ ეგ იყო.

თინეიჯერობის ასაკიდან გამოსულმა ხალხმა, თუგინდ კალათბურთის თავგადაკლული მოყვარულები არ ბრძანდებოდნენ, იციან ვინ იყო გომელსკი. მხოლოდ ჯილდოების ჩამოთვლაც გვარიანად შორს წაგვიყვანს.

კრონდშტატელი გომელსკის პირველი სასმუშაო ადგილი ლენინგრადის „სპარტაკი" იყო, სადაც 1949 წელს მივიდა და სამი სეზონი გაატარა. მომდევნო ცამეტი წელი რიგის სკა-ში იმუშავა და მისი აღმასვლაც იქიდან დაიწყო. ამ 13 წელიწადში ლატვიური გუნდი ხუთჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და სამჯერ ევროპის ჩემპინთა თასიც მოიგო. მესამედ, გომელსკიმ სკა-მ ფინალში თბილისის „დინამო" დაამარცხა.

ასეთ შედეგიან მწვრთნელს საბჭოთა ხელისუფლება პერიფერიაში აბა, როგორ გააჩერებდა, მოსკოვში უკრეს თავი და ყველაზე პრესტიჟულ გუნდში, ცსკა-ში მიავლინეს. იქ გომელსკიმ 22 წელი იმუშავა.

ცოტა უცნაური კია, მაგრამ გომელსკის არმიული მონაგრის დასათვლელად ცსკა-ს ოფიციალურ საიტზე რომ შეეგდით, წერია: გომელსკიმ ათზე მეტჯერ მოაგებინა ჩვენს გუნდს საკავშირო პირველობა და მრავალჯერაც ჩემპიონთა თასიო. ზუსტად დათვლილი არ აქვთ. ჩვენ დავითვალეთ და მცირე უზუსტობას წავაწყდით — ცსკას 1966-88 წლებში მხოლოდ ორჯერ აქვს ჩემპიონთა თავის მოგებული და ორჯერაც ფინალში დამარცხდა. ორჯერ მოგება, დაგვეთანხმებით, მრავალჯერ მოგებას არ ნიშნავს, თუმცა ეს უზუსტობა თავად გომელსკის დამსახურებას ვერ დაუკარგავს ან დაუკნინებს.

გომელსკი საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელიც გახლდათ და სანაკრებო კალათბურთში არანაკლები, მეტი თუ არა, მიღწევები გააგროვა.

მისი ხელმძღვანელობით გუნდი რვაჯერ შეიქნა ევროპის ჩემპიონი, ორჯე გახდა მსოფლიოს ჩემპიონი (1967 წელს ურუგვაიში და 1982 წელს კოლუმბიაში), გომელსკი სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონიცაა.

მაგრამ არსებობს სხვა დამსახურებებიც, რომლებსაც თასებივით ვერ დაითვლი. გომელსკის უამრავი ჭაბუკი კალათბურთელი ჰყავს აღზრდილი, მომავალში მსოფლიო დონის ვარსკვლავებად რომ იქცნენ. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: სერგეი ბელოვი, ალექსანდრ ბელოსტენი, ალექსანდრ ვოლკოვი, რიმას კურტინაიტისი, შარუნას მარჩულონისი, ანატოლი მიშკინი, ვიქტორ პანკრაშკინი, არვიდას საბონისი, სერგეი ტარაკანოვი, მლადიმირ ტკაჩენკო, ვოლდემარას ხომიჩუსი...

პროფესორი გომელსკი, იმავდროულად პოლკოვნიკის წოდებასაც რომ ატრებდა, სპრინგფილდის კალათბურთის დიდების მუზეუმში არის შეყვანილი.

მწვრთნელობიდან წასვლის მერე რუსეთის კალათბურთის ფედერაციას ხელმძღვანელობდა, ბოლოს, ცსკა-ს პრეზიდენტი იყო. სანამ შეეძლო, ტელეკომენტატორადაც მუშაობდა. ამბის საინტერესოდ მოყოლა იცოდა.

გიორგი დარჯანია

იგრონმბს ლეგენ. მოსეშვილი

ალექსანდრ გომელსკი ძალიან დიდი დანაკარგია არა მარტო რუსული კალათბურთისთვის.

ახლო ურთიერთობა გვქონდა. ბოლო პერიოდამდე დღესასწაული არ ჩაივლიდა, რომ არ დაერეკა და არ მოელოცა. ქართველი ხალხის და ქართული კალათბურთის მოყვარული კაცი იყო. უსიტყვოდ ენდობოდა ყველა ქართველს, ვინც კი მის ხელში გაიარა. ტოკიოს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ნახევარი წელი რჩებოდა, როცა 6 კალათბურთელი წინასწარ დაასახელა. მათ შორის მეც ვიყავი. მოსკოვის ოლიმპიადის წინ კი, როცა შემადგენლობა გამოაცხადა და მასში ნიკოლოზ დერიუგინი არ იყო, რუსეთში ჩავაკითხე. მომისმინა და ყველასათვის მოულოდნელად გადაწყვეტილება შეცვალა. მოსკოვის დინამოელი ფესენკო შემადგენლობიდან ამოაგდო და მის მაგივრად დერიუგინი ჩასვა. კიდევ ბევრის მოგონება შეიძლება, მაგრამ...

რომ არა მისი დიდი ნიჭი, ბევრი ღირსშესანიშნავი მოვლენა არ შედგებოდა.

მსოფლიოს რეპეტიცია

დარჩიას ასარჩევი ერთიღა დარჩა

დღეს დილით საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ნაკრები პოლონეთს გაემგზავრა. 20-21 აგვისტოს კრაკოვი ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს. ამ პირველობას სექტემბრის ბოლოს ბუდაპეშტში ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატის გენერალურ რეპეტიციასაც უწოდებენ. წინასწარი მონაცემებით პოლონეთში ჩასვლას 40-ზე მეტი ქვეყნის ნაკრები აპირებს მსოფლიოსთვის შეგულებული შემადგენლობით.

საქართველოს ნაკრები კრაკოვულ ტურნირზე რვა მოჭიდავით გამოვა. მთავარ მწვრთნელ ბეგი დარჩიას ბუდაპეშტში წასაყვანი გუნდი ბოლომდე ჯერაც არ დაუკომპლექტებია და 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში სამი სპორტსმენის გამოცდას ამიტომაც აპირებს. კონკურენცია კი მართლაც ისეთია, ვერაფერს იტყვი. მსოფლიოს საგზურს ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონი მუხრან ვახტანგაძე, ევროპის ჩემპიონი ბადრი ხასაია და ახლახან თბილისის ტურნირის მომგები თედო კუპატაძე შეეცილებიან.

სხვა წონები უკვე თითქმის საბოლოოდაა დაკომპლექტებული, მაგრამ ერთ სიახლეზეც ვთქვათ. 55-კილოგრამში ლამის უკონკურენტო ირაკლი ჭოჭუას მწვრთნელმა საპოლონეთედ წონა არ დააკლებინა და ამჯერად 60-ში იჭიდავებს. ამ წონის ლიდერი ემზარ ბედინაძე კი გუნდს საერთოდ არ გაჰყოლია. იგი იზმირშია მსოფლიოს უნივერსიადაზე საჭიდაოდ.

მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა მანუჩარ კვირკველიამ რომ 66-დან 74 კილოგრამში გადაინაცვლა, იცით, მანუჩარი პოლონეთშიც ამ წონაში იჭიდავებს. 66-ში მუხრან მაჭუტაძე გავა, 96-ში — რამაზ ნოზაძე, ხოლო მძიმეში — მირიან გიორგაძე. დარჩიას გარდა ნაკრებს კრაკოვში ოთარ ტატიშვილიც გაწვრთნის. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ოთმურ ყაზარაშვილი კი მომავალი ტურნირის ერთადერთი ქართველი მსაჯი იქნება.

ოთარ მაღლაკელიძე

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა საქართველოს ნაკრები

60 კგ ---------- ირაკლი ჭოჭუა
66 კგ -------- მუხრან მაჭუტაძე
74 კგ ---- მანუჩარ კვირკველია
84 კგ ---------- ბადრი ხასაია
---------- მუხრან ვახტანგაძე
---------- თედო კუპატაძე
96 კგ ---------- რამაზ ნოზაძე
120 კგ ------- მირიან გიორგაძე







მუხრან ვახტანგაძე, თედო კუპატაძე და ბადრი ხასაია მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის პოლონეთში იბრძოლებენ



ფერნანდო ალონსო

ალონსო სტამბოლში, კორა საავადმყოფოში, ბარიკელო ბარ-ჰონდაში

მომავალ უქმეებზე სტამბოლის ახალ, ულტრათანამედროვე ტრასაზე პირველი ისტორიული რბოლა გაიმართება. „თურქეთის გრან პრიზე" გამარჯვებისთვის ბევრი იბრძოლებს, თუმცა ყველაზე ხმამაღალ განცხადებებს მაინც საერთო ჩათვლის ლიდერი ფერნანდო ალონსო აკეთებს.

31 ივლისის უნგრულ გრანპრიზე მან და მისმა კოლეგა ჯანკარლო ფიზიკელამ კინკილა ქულაც კი ვერ მოაგროვეს და ახლა ოსმალოთა მთავარ ქალაქში აპირებენ რევანშის აღებას. „ახლაც მიკვირს, რატომ გამოვედით ასე სუსტად უნგრეთში. ქულები, რომლებიც იქ დავკარგეთ, თურქეთში უნდა ავინაზღაუროთ. მთელი გუნდი შემართულია გამარჯვებისთვის. „რენო" შესანიშნავი ბოლიდია და საერთო ჩათვლაში რომ პირველ ადგილზეა, დასტურად ესეც გამოდგება. რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ლიდერის პოზიცია უნდა შევინარჩუნოთ" — აცხადებს ალონსო.

კიდევ ერთ ცნობილ ავტომრბოლს, რალფ შუმახერს, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინ სერიოზულ ავტოავარიაში მოყვა, უსიამოვნო ამბავი შეემთხვა. ამჯერად ავარიამ კინაღამ მისი მეუღლე, კორა შუმახერი იმსხვერპლა.

კორა სამოყვარულო რბოლაში მონაწილეობდა. მისი „მინი" მეტოქის ავტოს დაეჯახა, ტრასიდან გადავარდა და დამცავ ღობეს შეასკდა. შუმახერების ოჯახის რძალი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. საგულდაგულო შემოწმებამ ცხადჰყო, რომ კორას სერიოზული დაზიანებები არ მიუღია და მხოლოდ კისრის კუნთი ჰქონია დაჭიმული.

მიუხედავად ამისა, რალფი ფრიად ნერვიულობს. და იმ მამაკაც მძღოლთა მრავალრიცხოვან არმიას, რომელიც ამტკიცებს, საჭე ქალის საქმე არააო, ამ დროს ეგებ ულვაშებში ეღიმება კიდეც...

ბოლოს რუბენს ბარიკელოზეც ვთქვათ. ბრაზილიელი, რომელსაც 212 საფორმულე რბოლაში მიუღია მონაწილეობა, 482 ქულა მოუგროვებია, კვარცხლბეკზე 61-ჯერ ასულა და სულ 9 ეტაპი მოუგია, „ფერარის" გუნდს ეთხოვება და „ბარ-ჰონდას" რიგებში გადადის.

მას შემდეგ, რაც 1993 წელს მისი დებიუტი შედგა, ეს მისი მეოთხე გუნდია. „ფერარიმდე" ბარიკელო „სტიუარტში" და „ჯორდანში" ირიცხებოდა.

ლადო ფულუკიძე

ტაისონის საფულეს კიდევ ერთი გაუპატიურება ემუქრება



მაიკ ტაისონს, რომელსაც რინგზე აღარაფერი ესაქმება, ურიის ვალები ადევს და მათ გასასტუმრებლად პორნოფილმებში მონაწილეობაზეც კი თანახმაა, იტალიაში ბრძანდება და დასვენებას ლამობს, თუმცა ეს საქმე არცთუ წარმატებულად გამოსდის.

წყლის თხილამურებზე სრიალი თავისთავად სასიამოვნო დროსტარებაა, თუმცა იტალიურ კუნძულ კაპრიზე ამგვარი გართობა გარკვეულ შეზღუდვასთან არის დაკავშირებული, ჯერ ერთი, ნაპირთან ახლოს სრიალი არ შეიძლება და მეორეც, თავზე ჩაფხუტი თუ არ ჩამოიფხატე, კანონის დარღვევად ითვლება.

„რკინის მაიკს" [illegible] და, ჭკუა დაუშლიდა თუ [illegible] და ზედ სანაპიროსთან [illegible] უჩაფხუტოდ. პოლიციამ [illegible] გამოიჭირა და 373-დოლარიანი [illegible] რიმა გამოუწერა, რომელიც [illegible] გემის კაპიტანმა გადაიხადა.

ეს წვრილმანი, მაგრამ [illegible] რეს უსაქციელობაშიც [illegible] ლებენ. ინციდენტი 7 აგვისტოს [illegible] რდინიაზე მოხდა. [illegible] ლბატონი, ფლორენს [illegible] ლიციას გამოუცდა, ტაისონ [illegible] უპატიურებას მიპირებდა.

როგორც ბოლოს [illegible] მაიკს ის ღამის კლუბ „[illegible] რში" გადაეყარა, საიდანაც „[illegible] კრიეგმ ძალის გამოყენებით [illegible] ათრია, მანქანაში ჩაუსვა და [illegible] ტისკენ უქნა პირი. ქალის [illegible] ბით, გატაცებაში [illegible] პირადი მცველიც ეხმარ[illegible] ხტაზე ფლორენსს [illegible] გორც კაცი არ [illegible] სექსი აზრადაც არ [illegible] გამოც მოკრივე [illegible].

შემდეგ რა მოხდა [illegible] ამბავს კი გამოძიებლები [illegible] თუმც თუ გავითვალისწინებთ [illegible] რომ ტაისონის ინტელექტი [illegible] ფიციენტი დიდი ვერაფერი [illegible] ოვლელი გახლავთ და [illegible] ველი მეორე შაკანიანი [illegible] ხადებს, ამ კაცმა [illegible] შემდეგ კი სასამართლოს [illegible] ბით ფულიანი და [illegible] ლი ბედნიერ ცხოვრებას [illegible] ლებს, არც ის იქნება [illegible] თუ ფლორენსიც [illegible] ტია, რომელსაც [illegible] ნთმაგარ სპორტსმენს [illegible] მოსცანცლოს.

ლადო ფულუკიძე

პირველი ჰიმნი

თურქეთის ქალაქ იზმირში მიმდინარე უნივერსიადის გუშინდელი დღე საქართველოსთვის მოსავლიანი გამოდგა. საქმეში ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდაველები ჩაერთნენ და აქამდე ორმედლიან ყულაბაში თავისი წილი სამიც ჩააჩხრიალეს. თან პირველი ოქროთიც გაიხარეს.

ქართული ჰიმნი 84 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოჭიდავე შალვა გადაბაძესთვის დაუკრეს. შალვამ ისე იჩემპიონა, ძლიერ მეტოქეთაგან სერიოზულ წინააღმდეგობას არ გადაჰყრია. ოქროს გზას კანადელი იასინ კაიას ძლევით შეუყვა. მერე კუბელ რაინერ გომესს, ესტონელ ტარვი ტომბერგსა და უკრაინელ ოლეგ რამანკოვს მოუგო. ფინალში კი გერმანელ ბიორნ ჰოლკს აჯობა.

გოდერძი დავითაძემ (55კგ) მეოთხედფინალამდე იაპონელი ნენორ მუ და ბელარუსი დიმიტრი ალენსკი ჩამოიცილა, თუმცა ჩრდილოკორეელ ილ რი კიონთან ვეღარას გახდა და რეპეშაჟში გადაერთო. ჯერ ეგვიპტელ ქარიმ ელ საიდს აჯობა, მერე უკრაინელ იური კოვალს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

მძიმეწონისან გიორგი ჯობავას კვარცხლბეკზე მოსახვედრად მხოლოდ სამჯერ დასჭირდა ხალიჩაზე გასვლა. პირველსავე წრეში მომავალ ჩემპიონთან, კუბელ მიგელ ლოპეს ნუნიესთან მარცხის შემდეგ ჯავრი კორეელ ჩონგ ლისა და ლიტველ მინდაუგას მიზიტისზე იყარა და ბრინჯაო გაინაღდა.

გუშინვე იჭიდავა ლაშა ლომაძემ (66 კგ), მაგრამ ფინელ მატი კაუტისთან დამარცხდა და რადგან მერე ვერც იმ ფინელმა იყოჩაღა, რეპეშაჟის შანსიც დაკარგა.

ბერძენ-რომაელთა მეორე ოთხეული დღეს იჭიდავებს.

ოთარ მაღლაკელიძე

ძველმა ახალი დაიცვა

გრეგანი და ჯონსი წასვლას არ აპირებენ

კარგა ხანია, გულშემატკივრები ავსტრალიის ნაკრების კაპიტან ჯორჯ გრეგანისა და მთავარ მწვრთნელ ედი ჯონსის გუნდიდან წასვლის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ, თუმცა შაბათს სიდნეიში ახალი ზელანდიისგან ნაწვნევმა მარცხმა გრეგან-ჯონსის მოწინააღმეგეები უფრო გაალიზიანა.

თუმც მწვრთნელსა და კაპიტანს გულშემატკივრებიც ჰყავთ. ერთ-ერთი ასეთი როდ მაკქუინია, „ვოლაბთა" ყოფილი თავკაცი, რომელმაც ოზები 1999 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გააპრველა.

„ნაკრებს რთული პერიოდი აქვს და სწორედ ახლაა საჭირო გრეგანის დარი გამოცდილი და ლიდერობაში გამობრძმედილი კაცი. მას შეუძლია შეკრას გუნდი და ყველა ერთი მიზნისთვის მომართოს — აცხადებს მაკქუინი — იგივეს ვიტყვი ედი ჯონსზეც. მას დრო უნდა მივცეთ. ხელის შეშლის ნაცვლად თუ მივეხმარებით, უკეთესი იქნება. მსოფლიოს ჩემპიონატი ახლოვდება და, რა თქმა უნდა, კარგი იქნება, თუ „ვოლაბთა" ხელმძღვანელობას შემუშავებული ექნება გარკვეული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც 2 წლიწადში ნაკრები ოპტიმალურად დაკომპლექტდება. მე არ ვგულისხმობ მასიურ ცვლილებებს და შემადგენლობის თავდაყირა დაყენებას. უბრალოდ, ახალი სისხლის გადასხმა საჭირო."

მიუხედავად იმისა, რომ მაკქუინმა კაპიტანს მხარი დაუჭირა, ბევრი თვლის, რომ ყოფილი მწვრთნელი „ახალი სისხლის გადასხმაში" ჯორჯ გრეგანის შეცვლას გულისხმობდა. ამ საკითხთან დაკავშირებით 32 წლის გრეგანს თავისი პოზიცია აქვს.

„მე დღესაც დიდი სიამოვნებით შევეჯიბრები ნებისმიერს. ვგრძნობ, რომ გუნდებში, რომლებშიც ვთამაშობ, იქნება ეს ნაკრები თუ კლუბი, საჭირო ვარ და სანამ [illegible] წასვლას არ ვაპირებ. [illegible] რიკასთან შესანიშნავად [illegible] ახალ ზელანდიასთან მაჯის [illegible] ბევრი ვერაფერით [illegible] არც იმ თამაშში [illegible] ძალიან ცუდად.

ადრეც ვყოფილვარ ასეთ სიტუაციაში. როდესაც [illegible] ძალა მომავალ თამაშში უნდა [illegible] ტკიცო, მომავალი თამაში კი [illegible] საა.

ლადო ფულუკიძე

ინგლისი

კონფერენსი. II ტური

კონვი	2:1 ალდერშოტი
ალტრინჯემი	0:1 აკრინგტონი
ძროული	0:0 დაგენემი
ეძსეტერი	1:0 კიდერმინსტერი
გრეისი	6:1 გრეიუსენდი
ჰალიფაქსი	1:0 ბარტონი
სკარბორო	0:1 მორიკომბი
ტემუორთი	0:0 ფორესტ გრინი
უოკინგი	3:2 სტივენეიჯი
საუთპორტი	1:4 იორკი
კემბრიჯი	2:1 ჰერეფორდი

საფრანგეთი

II დივიზიონი
IV ტური

დიჟონი	1:2 გენგამი
ისტრი	2:2 სედანი
გრენობლი	2:1 ლავალი
ლეავრი	1:1 კრეტეი
ლორიანი	3:1 სეტე
გენიონი	2:0 კლერმონი
ბასტია	4:1 ბრესტი
კაენი	0:2 ვალენსიენი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. (U-21)

ლატვია 0:4 რუსეთი
მაკედონია 1:1 ფინეთი
ჰოლონეთი 1:3 გერმანია

ფრენა, რომ ცეცხ

ეროვნული ბიბლიოთეკა

AFP მონაკოდან

შეჯიბრება: Red Bull X-Alps.
სპორტსმენი: 28 წლის შვეიცარიელი ალექს ბოფერი.
დაბლა ალპები: მონაკო.
შეჯიბრების 12 დღის შემდეგ 800 კილომეტრ ნაფრენმა ბოფერმა გაიმარჯვა. შეჯიბრების წესებით ნებადართული იყო მხოლოდ ფრენა ან სიარული.
მიზანი: ალპების დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადასვლა.

ᲝᲓᲝᲚᲘᲐ, ᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ

გოლფი რომ კეთილი და მშვიდი სახეობაა, საუცხოოდ ჩანს ამ ფოტოდან. მერედა, რაძნელია შემოსავლები აქვთ სპორტსმენებს... სპრინგფილდის PGA ჩემპიონატში გამარჯვებული ეს მეგოლფე ფილ მიკელსონი გახლავთ, რომელსაც წარმატება პირველებმა შვილებმა, ამანდამ, სოფიამ და ევანმა მოულოცეს

AFP სპრინგფილდიდან



AFP ოკლენდიდან

კალიფორნიაში გაგანია ბეისბოლია და „ოკლენდ ატლეტიკსის“ მოთამაშის, ერიკ ჩავესის გასროლილ ბურთს ბალტიმორ ორიოლზელი კრის გომესი გაუფრინდა. ცნობისთვის, ჩავესი არ ჩანს, მის შესახებ ისე ვიცით.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
მთავარი რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი ავთანდილ გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, სოსო კოტორაშვილი, ლადო ხიმერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: ვალა ახალაძე, ლევან ყველაძე, ოთარ ბალლა ყველიძე, ირაკლი პერტია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი ყეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლილი გიზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფაცი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ჭინჭლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge